## ტფილისი, 1 აპრილი

### II

ისტორიულ მსვლელობას, როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, ორი მოწინააღმდეგე პრინციპის ბრძოლა ახასიათებს. პირველ მათგანს შეიძლება ვუწოდოთ არქიული, ან კრატიული, მეორე — ან-არქიული, აკრატიულია. ყველგან და ყოველ ისტორიულ მომენტებში ვხედავთ ჩვენ ამ ორ პრინციპს და, რასაკვირველია, მათ თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობაშიც იჩინეს თავი. სოციალიზმი პირველად მხოლოდ აკრატიული მოძღვრება იყო, ისე, როგორც ქრისტიანიზმი თავის დასაწყისში ანარქიული იყო. მაგრამ შემდეგ, როცა ქრისტიანიზმი საზოგადოებრივ ძალად გადაიქცა, ბევრი ქრისტიანთა შორის შეეცადა ის სახელმწიფო სარწმუნოებად გადაექცია და გამოეყვანა იმ ოპოზიციონურ მდგომარეობიდან, რომელშიაც მანამდის იმყოფებოდა. ქრისტიანიზმს მოევლინა კონსტანტინე, რომელმაც ის მართლა გახადა ოფიციალურ რელიგიად; დევნილი ქრისტიანიზმი მდევნელად გახდა; აზროვნების თავისუფლება დაიხშო, ჭეშმარიტების, ლოღიკის ადგილი კონსილიუმთა გადაწყვეტილებამ დაიჭირა. ქრისტიანიზმი, რომელიც კანონს გაურბოდა, სხვისთვის კანონის მწერალი გახდა: სექტების აღმოცენების დრო დადგა.

აგრე მოუვიდა სოციალიზმსაც. ის პირველად მხოლოდ აკრატიული იყო, ის არასოდეს არ ფიქრობდა სახელმწიფოებრივ მოქმედების ნიადაგზე შედგომას, სახელმწიფოს უცქეროდა, როგორც გარეგნულ, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, როგორც იურიდიულ გამოხატულებას თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობისას და რაკი ის სცდილობდა თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობის დარღვევას, არც სახელმწიფოს ხელუხლებლად დატოვება სურდა, რადგან ის მიაჩნდა განუყოფელ ნაწილად მონობაზე აშენებულ საზოგადოებრივ სისტემისა. ამისათვის თავის დასაწყისში მხოლოდ ოპოზიციონურ ძალას წარმოადგენდა და თავის თანამედროვე წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ ხალხის შემოქმედ ძალაზე ემყარებოდა. შემდეგ, როცა ის, ცოტა არ იყოს, გაძლიერდა, იმის მიმდევართა შორისაც გაჩნდნენ კონსტანტინეობის მოსურნენი. ხოლო ბედმა სოციალიზმის კონსტანტინეს როლი კ. მარქსს აკუთვნა. სოციალიზმი ოფიციალურ ნიადაგზე იქმნა გადატანილი, სახელმწიფოებრივი ხასიათი მიეცა, ის შეეცადა მმართველ ძალის ხელში ჩაგდებას. მაგრამ, როგორც უკვე ვსთქვით, ვერც ერთ ისტორიულ მომენტში სახელმწიფოებრივი ტენდენცია ვერ იჩენს თავს ისე, რომ იქვე, იმავე მომენტში მისმა უარყოფამ, ანარქიულმა ტენდენციამ არ იჩინოს თავი. სოციალისტური მოძრაობა ორ ბანაკად გაიყო: პირველი ბანაკი შესდგება სოციალ-დემოკრატებისაგან, მეორე—ანარქისტებისაგან. სანამ თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობაში სოციალ-დემოკრატები არ არსებობდნენ, არც ანარქისტები იყვნენ. მოძრაობა საერთო სოციალისტური იყო, მაგრამ მაშინ, როცა სოციალისტთა ერთი ჯგუფი შეეცადა სოციალიზმის ხასიათის დამახინჯებასა და გამოცვლას, ბუნებრივად, თანახმად ისტორიულ მოთხოვნილებისა, აღმოცენდა მეორე ჯგუფი სოციალისტთა, რომელიც ცდილობდა და სცდილობს სოციალისტურ პრინციპის სიწმინდით შენახვას და ხელს უშლის მასში ოპორტიუნისტულ და სახელმწიფოებრივ ელემენტთა გაბატონებას. ამნაირად ანარქიზმი სოციალისტურ მოძრაობას გარეშე კი არ შობილა, ის წარმოშობა სოციალისტურ პრინციპების სიწმინდით შენახვის საჭიროებამ. თვით სიტყვა „ანარქისტი“ ანარქისტებს კი არ გამოუგონიათ თავის პარტიის სახელად, მათ ახალი სიტყვის გამოგონება საჭიროდ არ მიაჩნდათ, მათის აზრით. თვით სოციალიზმი იყო ანარქიული, რადგან ის უარჰყოფდა ყოველ გვარ ექსპლოატაციას როგორც ეკონომიურს, ისე სახელმწიფოებრივს. მაგრამ სოციალიზმის კონსტანტინეს მექომაგე სოციალისტებმა ამგვარი სოციალიზმი ერეტიკულ სოციალიზმად გამოაცხადეს და მათ დამცველებს ანარქისტები უწოდეს. ეს იყო ინტერნაციონალის დროს. მაშინ პრუდონისტებს, რომელთაც ინტერნაციონალთან ერთად ანარქისტებიც ეწინააღმდეგებოდნენ, უწოდებდნენ ანარქისტებს, მაგრამ შემდეგ პრუდონისტები დაუძლურდნენ და ბოლოს სრულიად გაჰქრა პრუდონიზმი, როგორც დამოუკიდებელი შტო სოციალისტურ მოძრაობისა. ანარქისტებიც, რომელნიც პირველად თავიანთ თავს თავისუფალ სოციალისტებს, ან კიდევ ფედერალისტ-სოციალისტებს უწოდებდნენ, შეეჩვივნენ ამ სიტყვას და ბოლოს სრულიად მიიღეს იგი. დღეს ეს სიტყვა უკვე ძვირფასია ყოველი ანარქისტისთვის, მას თავის საკუთარი ისტორია, თავისი რევოლიუციონური ტრადიცია აქვს; მას ჰყავს თავის წამებულნი და მეცნიერნი.

აღიარებას ან არ აღიარებას არქიულ პრინციპისას ერთობ დიდი მნიშვნელობას აქვს; როგორც პროგრამის აშენება, ისე ამ პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულ ტაქტიკას განსაკუთრებული ელფერი და ხასიათი ეძლევა იმისდა მიხედვით, თუ როგორია საზოგადო პოლიტიკური პრინციპი, რომელზედაც ემყარება პარტია. თუ პარტიის პოლიტიკური პრინციპი არქიულია (და ჩვენში არსებული პარტიები გამოურიცხავად ამ ჯგუფს ეკუთვნიან), მაშინ, რასაკვირველია, ტაქტიკა პარტიისა სახელმწიფოებრივი უნდა იყოს, რადგან ასეთ პრინციპის აღმსარებელ პარტიას დიალექტიკური შეხედულება უნდა ჰქონდეს სახელმწიფოზე. ამგვარ პარტიას არ შეუძლია იმსჯელოს სახელმწიფოზე იმ ლოღიკურ სისტემით, რომელიც ხასიათდება შემდეგის ფორმულით: „ჰო, ჰო; არა, არა“. არა მან სხვაგვარ, არა ჩვეულებრივ, უზენაეს ლოღიკურ სისტემას უნდა მიმართოს, იმ ლოღიკურ სისტემას, რომლის ფორმულაა—„ჰო—არა; არა—ჰო“. ამ სისტემის მიმდევარ პოლიტიკურ მოღვაწის ტვინი ისე უნდა იყოს მოწყობილი, როგორც იმ ბუშმენისა, რომელიც ამბობდა: როცა მე წამართმევენ ჩემს ცოლს—ეს ცუდია, მაგრამ თუ მე წავართმევ ვინმეს ცოლს—ეს კარგიაო.

სახელმწიფო ზემო აღნიშნულ პოლიტიკურ პრინციპის მიმდევრისათვის არ არის არც კარგი და არც ავი, ის კარგია, როცა მას აქვს ხელში და მისი პარტიის პროგრამის განხორციელებას ემსახურება, ხოლო როცა ის სხვის ხელშია და სხვა მიზანს ემსახურება — ცუდია. ამნაირად კითხვის გადაჭრა კითხვის გადაჭრა არ არის. ეს უპრინციპობის ულოღიკობით დაფარვაა. სახელმწიფო არც სოციალ-დემოკრატებს გამოუგონიათ, არც ანარქისტებს, ის იშვა განსაზღვრულ ისტორიულ მომენტებში, განსაზღვრულ ისტორიულ როლის აღსასრულებლად და იმის გადასაწყვეტად, საჭიროა თუ არა ის კაცთა შორის სოციალისტურ ურთიერთობის დასამყარებლად და შესანახავად, საჭიროა თუ არა ის საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობე-

სებლად—ჩვენ თვით ისტორიას უნდა მივმართოთ, იქიდან უნდა გავიგოთ, თუ რა როლს ასრულებდა სახელმწიფო ისტორიაში. თუ ისტორია გვეტყვის, რომ სახელმწიფო პროგრესის აუცილებელი იარაღია, ჩვენც, რასაკვირველია, სახელმწიფოს უნდა მივმართოთ, ჩვენი საზოგადოებრივ-რეფორმატორული მოქმედებაც სახელმწიფოებრივ ნიადაგზე უნდა დავამყაროთ. ეს კითხვა სამერმისო კითხვა არ არის—ის სადღეისო მწველი კითხვაა ყველა იმისთვის, ვისაც საზოგადოებრივ ნიადაგზე სურს მოღვაწეობა. მისთვის, ვინც საზოგადო ცხოვრების ახალ გეგმაზე მოწყობას ესწრაფვის, ამ კითხვაზე გადაჭრილი, შეგნებული და შემუშავებული პასუხი პირველ ზნეობრივი მოვალეობაა. ახალი ცხოვრების მოტრფიალემ უნდა იცოდეს: რა სურს მას? რა ფორმა შეიძლება და სასურველია მიიღოს მიწის, ქარხნის და სხვა სიმდიდრის კერძოდან—საზოგადო საკუთრებად გარდაქმნის საკითხმა? სასურველია, რომ სახელმწიფომ ჩაიგდოს ხელში როგორც ქარხნები, ისე მიწა და მერმედ იჯარით მისცეს ამა თუ იმ კერძო პირს? სასურველია, რომ ეს მიწა და ქარხნები სახელმწიფომ კერძო პირთ ან საზოგადოებებს არ გადასცეს და თვითვე განაგოს წარმოება? შეიძლება სთქვან, რომ დღეს და ხვალ ჩვენ ეს საკითხი არ გვაქვს გადასაწყვეტადო. შეიძლება მართლა დღეს და ხვალ არ გადასწყდეს ეს საკითხი, მაგრამ ცხოვრებისაგან ეს საკითხი უკვე წამოყენებულია და ამასთანავე ადამიანი, მომქმედი პირადობა, ევოლიუციის პროცესში აქტივურად ერევა და მას, როგორც აქტივურ ფაქტორს საზოგადოებრივ ევოლიუციისას, ეს კითხვა ასე თუ ისე გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს. ზემო აღნიშნული კითხვა შეიძლება დღეს და ხვალ არ გადასწყდეს, მაგრამ დღეს და ხვალ მზადდება მისი ასე თუ ისე გადასაწყვეტი მასალა და ძალა. თუ კითხვა დღეს და ხვალ არ გადასწყდება, ეს იმისთვის-კი არა, რომ ვითომ არსებობდეს რაიმე ობიექტიური მიზეზი, რომელიც მის გადაწყვეტას შეუძლებლად ხდის. მიზეზი თუ არსებობს, ის მხოლოდ სუბიექტიურია და დამყარებული არის ცრუმორწმუნეობაზე (ცრუმორწმუნეობა მარტო რელიგიური მოვლენა-კი არ არის, ცრურწმუნეობა პოლიტიკაშიც არსებობს), ლიკურ სისუსტეზე, გონებრივ მოუმზადებლობაზე და სხვ. კაპიტალისტურ წეს-წყობილების „მატერიალურ კრიტიკით“ უარყოფა რომ არ შეიძლებოდეს, ვერც მისი იდეიური უარყოფა იჩენდა თავს. სახელმწიფოებრივ პრინციპის შესახებ გადაწყვეტილი აზრის ქონება მით უფრო საჭიროა, რომ მხოლოდ ამ კითხვის გარკევით გადაჭრა შესაძლოდ ჰქმნის საპროგრამო და სატაქტიკო კითხვების გარკვეულად დაყენებას. თუ რომელიმე პარტია იღებს სახელმწიფოებრივ პრინციპს, მან ამ პრინციპიდან უნდა გამოიყვანოს ყველა ლოღიკური დასკვნა, უნდა აღიაროს, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორია მიისწრაფვის სახელმწიფოს გაძლიერებისადმი, რომ ეს გაძლიერება კაცობრიობის რეალურ და სამართლიან მოთხოვნილებათ ესაბამება და ამისდა მიხედვით სასურველად და შესაძლებლად უნდა აღიაროს მიწათმფლობელობის და საზოგადოთ წარმოებისათვის სახელმწიფოებრივ ფორმის მიცემა და თავის პრაქტიკული მოქმედებაც ამას დაუქვემდებაროს. უნდა ეცადოს, რომ ეს გარდაქმნა საკუთრების ფორმისა მოხდეს სახელმწიფო ორგანოების საშუალებით, ერთი სიტყვით, სახელმწიფო პრინციპის აღმსარებელმა სოციალისტმა საკმაო გაბედულებაც უნდა გამოიჩინოს, თავის პრინციპები და მისწრაფებანი საქვეყნოთ გამოაფინოს, აღიაროს თავის თავი სახელმწიფოებრივ-სოციალიზმის მომხრედ—სოციალ-დემოკრატად *).

მაგრამ თუ სახელმწიფოს ისტორიულ როლის შესწავლა გვიმტკიცებს,—და ჩვენ გვგონია, რომ გვიმტკიცებს—რომ ყოვლად შეუძლებელია ის გახდეს ეკონომიურ და სოციალურ გარდაქმნის პროგრესიულ იარაღად, თუ ის ღირსი არ არის ნდობისა, თუ მას არ შეიძლება მივანდოთ არც მიწის, არც ფაბრიკა-ქარხნების გასაზოგადოების საკითხის გადაწყვეტა, თუ სახელმწიფო პრინციპის გამარჯვება ყოველთვის აღნიშნავს პირად ინიციატივის, ადგილობრივ თვითმოქმედების დამარცხებას, ჩვენ სახელმწიფოებრივ აზრს და საზოგადოთ ყოველ სახელმწიფოებრივ იდეალს უნდა გამოვეთხოვოთ, ერთი სიტყვით, უნდა მივიღოთ თვალხედვითი ისარი **არა-მთავრულ** სოციალიზმისა და საჭირო ძალა იდეალის ან პროგრამის განსახორციელებლად უნდ ავეძებოთ არა სახელმწიფოებრივ ორგანოებში, არამედ ხალხში, **მის თვითმოქმედებაში**. სახელმწიფო და ხალხი ორი მუდმივი და დაუღალავი ანტაგონისტები არიან. მათ ბრძოლაში გარკვეულ პოზიციის დაჭერა აუცილებელია საზოგადო ასპარეზზე მომქმედ მოღვაწისათვის. შუაში გაჩერება ან სისუსტეა, ან ღალატი. ან იქით, ან აქეთ. მომენტი გარკვეულობას თხოულობს. საზოგადო ძალების მიმართულების და ხასიათის გამორკვევა საჭირო ყველა იმისთვის, ვისაც სურს ჩაერიოს იმ დიდებულ ბრძოლაში, რომელსაც თავის მიზნად მთელი კაცობრიობის განახლება გაუხდია.

---

*) სოციალ-დემოკრატი ზოგადი სიტყვაა. სოციალ-დემოკრატი შეიძლება მარქსისტი არ იყოს, მარქსისტიც შეიძლება სოციალ-დემოკრატი არ იყოს. ჟორესი, ვანდერველდი, რუსთსოციალისტ-რევოლიუციონერები — მარქსისტები არ არიან, მაგრამ სოციალ-დემოკრატები კი არიან. საფრანგეთის „ახალგაზდა“ მარქსისტები (ლაგარდელი, ლაფონი) მარქსისტები არიან, მაგრამ ანარქისტობენ.

---

## რევოლიუცია და რეაქცია

## II

(დასასრული).

რეაქცია!

რაოდენ საზიზღარი და გულზედ შხამ-გადამსხმელი მოგონებანი აღეძვრის გონებაში ადამიანს ამ სიტყვის გაგონებაზედ! რაოდენ საშინელია და გულის შემზარავი მისი წარსული, აწმყო და მომავალი მოქმედება! რაოდენ სასტიკია, უშინაარსო და განმანადგურებელი მისი სრბოლა!

ყოველი მოქმედება (აქცია) გამოიწვევს წინაალმდეგ მოქმედებასო (რეაქციას) – ამბობს საყოველთაო მსოფლიო კანონი.

ამ კანონს ვერც საზოგადოებანი ასცილებიან, თუმცა მსოფლიოში მას სულ სხვა ხასიათი აქვს, საზოგადოებაში კი იგი სულ სხვაგვარად მოქმედებს; ანალოგია საზოგადოებრივ აქცია-რეაქციისა და მსოფლიო კანონის შორის მხოლოდ ნაძალადევად და მეტაფორულად შეიძლება და არა ამ კანონის შინაარსის მიხედვით, არა მეცნიერულად.

მიუხედავად ყოველივე ამისა, საზოგადო ჭეშმარიტებაა, საზოგადო ფაქტია, რომ კაცთა საზოგადოებაშიაც ერთგვარ ძალთა მოქმედება იწვევს წინაალმდეგ ძალთა წინაალმდეგ მოქმედებას, **რეაქციას**.

ხასიათი ყოველისავე რეაქციისა განისაზღვრება იმის გამომწვეველ აქციით, მოქმედებით. როდესაც განმანადგურებელი ძალები იღებენ მოქმედებას,—ეს არის მათი აქცია, იგინი იწვევენ შემოქმედებით ძალთა თავის წინააღმდეგ რეაქციას. მე-XVI საუკუნის ბოლოში სახელმწიფოთა-მიერ მთელი ხალხის გაყვლეფა და ავაზაკური ძარცვა იყო მათი აქცია - დიდი აჯანყებანი კი მათ წინააღმდეგ—რეაქცია.

მაგრამ ჩვენ მივეჩვიეთ შემოქმედობით ძალთა მოქმედებას,—ხალხთა მოძრაობას, მხოლოდ ამ წყაროდან გამომდინარებულ აქციას ვუწოდოთ განსაზღვრული სახელი, მათ წინააღმდეგ მოქმედებას კი რეაქცია. ამიტომაც არის საყოველთაო ზიზღი რეაქციისადმი, ამიტომ ასდის ამ უკანასკნელს ისეთი საშინელი სუნი, სისხლის აყროლებული სუნი, რომ პატიოსან ადამიანის გონებრივი ყნოსვა განუსაზღვრელად არის შეურაცხყოფილი, ოდეს გაისმის მისი საშინელი სახელი. ამიტომაც არის, რომ ხალხთა მოძრაობას განსაზღვრულ სახელს, **რევოლიუციას** უწოდებენ, გაბატონებულ და დამაშშეველ კლასთა წინააღმდეგობას-კი მხოლოდ **რეაქციას**, თითქოს ერთიცა და მეორეც ერთსა და იმავე დროს არ იყოს რეაქციაც და აქციაც, იმისდა მიხედვით, თუ საერთო მოძრაობის დაუსრულებელ სრბოლაში რომელ მომენტიდან დავიწყებთ ანგარიშს რეაქციის ან აქციის განსასაზღვრელად. იქნებ აგვარ ტერმინოლოგიის შემოღების ღრმა მიზეზი ის იყოს, რომ სწორედ გაბატონებული და ავაზაკი კლასები თავის დღეში შემოქმედებით ინიციატივას ვერ იჩენენ, მათი ცხოვრება უფერულად გადის, და თავიანთ კვალს მხოლოდ მაშინ სტოვებენ, როდესაც მთელი ოკეანე რევოლუციისა თავის აზვირთებულ ტალღებით მათ უფსკრულში შთანთქმით ემუქრება ხოლმე, და ჩვენც ამ ოკეანის აღელვებიდან ვიწყებთ ანგარიშს, ეს მომენტი გვგონია დასაწყისი მოქმედებისა და მისი დაწყნარება, შავ - ბინძურ კუპრით აღვსება ოკეანეს დასამშვიდებლად-კი წინააღმდეგი მოქმედება, რეაქცია?!.

მაგრამ საქმე განა ტერმინია, განა სიტყვაა!

საქმე შინაარსია და რა სახელსაც ვუწოდებთ ამ შინაარსს, ამით ბევრი არა იცვლება-რა.

მკვდრეთით აღდგომას, ახალ სიცოცხლეს რევოლიუცია ეწოდება, მეორედ ჯვარ-ცმას და საფლავში ჩასვენებას—რეაქცია,—ამით რა იცვლება.

დიახ, საზოგადოებათა მეორედ ჯვარცმასა და საფლავში ჩასვენებას ეწოდება რეაქცია, ეს არის მისი შინაარსი; მისი დანიშნულება—სიკვდილი მკვდრეთით აღდგომილისა, განწმენდილი კაცობრიობის ხელ-ახლა შავ და შხამიან მატლებით სავსე წუმპეში გადაგდება, ამ წუმპის ჯოჯოხეთისათვის ცეცხლის წაკიდება და შიგ ჩავარდნილის ტანჯვა.

როდესაც ხალხს აღარ აკმაყოფილებს არსებული წესი ცხოვრებისა, როდესაც მისთვის არსებული ზნეობრივი ღირებულებანი არარაობას წარმოადგენენ და ხალხი თავისუფლადა გრძნობს თავს ძველ შემბოჭველ დოგმათაგან, მაშინ იგი უარ-ჰყოფს ძველ უფლებას, ძველს დაწესებულებას, პირდაპირ გაილაშქრება მათ დასამხობად,—მაშინ ის იბრძვის, მაშინ ხდება რევოლიუცია. მაგრამ ვაი ამ ხალხს, თუ მისმა დამთრგუნველმა ძალამ ვერ სძლია სრულებით მის წინააღმდეგ გამოლაშქრებული ძალები, ან იგი მოტყუებულ იქმნა გაიძვერულად საზოგადოების ერთი კლასის-მიერ, რომელიც დასაწყისში რევოლიუციის მომხრედ ჰრაცხს თავს და შემდეგ-კი, როცა დაინახავს, რომ რევოლიუცია იმ წერტილამდე მივიდა, რომელიც მისთვის სასურველია, ღალატის შავს ზეწარს ჰფენს მთელს რევოლიუციას და ქურდულად, ავაზაკურად ახრჩობს მას.

მაშინ იწყება ხოლმე **რეაქცია**. რეაქცია უძლეველ ძველ წყობილების მხრივ, რეაქცია პირველად რევოლუციის მომხრე და შემდეგ მოღალატე კლასსის მხრივ.

ორნაირია რეაქცია. ერთი რევოლუციის პირდაპირი მტრის მხრივ, მეორე გაიძვერა და ლაჩარ მოყვრის მხრივ, რომელიც ანგარიშით უდგება რევოლუციას და ამ უკანასკნელით სარგებლობის საშუალებით ჰღალატობს რევოლუციის მთელ მიმდინარეობას და აშკარად სდგება მის წინააღმდეგ მთელის თავისის სახით.

როდესაც რომის მონები აღსდგნენ და უნდოდათ წაელეკათ რომის მონობა,—მონათა წინააღმდეგ გაილაშქრეს პატრიციებმა, ომში გაწრთვნილმა არისტოკრატებმა. მონებს მონობის დათრგუნვა სურდათ, მოსპობა მონურ უფლებისა, შექმნა ახალ ზნეობრივ ღირებულებათა ახალ საზოგადოებრივ წყობილების საძირკველზე,—მათ წინააღმდეგ წავიდა რომის მონობის დაწესებულებანი, „რომის უფლება“, რომის ძველი ზნეობრივი ღირებულებანი და რომის გარყვნილი ოფიციალური აზრი. ეს იყო რომის **რეაქცია**, რეაქცია ძველი მონობისა აჯანყებულ მონათა დამთრგუნველ მოქმედების წინააღმდეგ,—რევოლუციის წინააღმდეგ.

როდესაც ქრისტიანობა, ახალი იდეა ჩვენი ახალი ეპოქისა, პირველად შემოვიდა და უნდოდა გარდაექმნა მთელი ინტერნაციონალური ფილოსოფია და ზნეობრივი ცნებანი,—ძველმა იდეამ, ძველმა ზნეობამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა და წამებითა და ჯვარ-ცმით შეხვდა აზრის ახალ მიმდინარეობას. ეს იყო რეაქცია ახალ იდეის წინააღმდეგ ძველი იდეის მხრით.—და თუ ქრისტიანობამ შემდეგ ინკვიზიციის ტახტი დაიდგა, ამისი მიზეზი ის იყო, რომ თვითონ გადიქცა რეაქციონერ, **ძველ ძალად**, და იბრძოდა მეცნიერების-მიერ ახალ ღირებულებათა აღმოცენების წინააღმდეგ.

როდესაც მემამულეები, გრაფები და ეპისკოპოსები, თავადები და მეფეები ებრძოდნენ საშუალო საუკუნის თავისუფალ ნახევრად კომუნისტურ რესპუბლიკებს, ეს იმიტომ, რომ ბრძოლა ამ რესპუბლიკათა,—ახალ აღმოცენებულ საზოგადოებრივ ძალთა, მიმართული იყო მთელ ფეოდალურ სისტემის წინააალმდეგ, მთელ ბატონ-ყმურ და სამხედრო მონურ დაწესებულებათა წინააღმდეგ კომმუნიზმისა, თავისუფლებისა და ფედერალიზმის სახელით. ფეოდალიზმის **რეაქცია** იხატებოდა მთელ სოფელთა და მხარეთა განადგურებაში, მრავალ ქალაქთა გადაწვა-გადაბუგვაში, და მხოლოდ ფეოდალურ დაწესებულებათა დამხობამ, რეაქციის დამარცხებამ შეჰქმნა ევროპის საშუალო საუკუნეთა დიდი ცივილიზაცია, რომლის განგრძობაცაა ჩვენი საკუთარი ცივილიზაცია, იქ ძუძუ-ნაწოვი და აღზრდილი!

როდესაც შემდეგ თავისუფალ ქალაქთა და სოფელთა დაწესებულებანი დაანგრია ისევ მემამულეთა და სამღვდელოების რეაქციამ, გამდიდრებულ ხალხის ღარიბთა მოძრაობის წინააღმდეგმა რეაქციამ,—როდესაც მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოში აღმოცენებულმა სახელმწიფომ ამ რეაქციისაგან საშინელი, აღრიალებულ-აღქაფებუ-

ლი მდინარე შეადგინა ამ რეაქციისა და მიუშვა თავისუფალ ქალაქებსა და სოფლებზედ და გადაჰლეკა იგინი, მაშინ აღმოცენდა ისევ საზიზღარი ბატონყმობა, რომის უფლება ღ კლერიკალიზმი, ინკვიზიცია და სხ. მრავალ ქვეყნებში, სადაც ხალხმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია ამ ჯოჯოხეთის კუპრის აღმოხეთქას,—და ევროპა ისევ შთაინთქა **რეაქციის** საშინელ ჯურღმულში,—ძველი მონური დაწესებულებანი, კაცობრიობის უუსაზიზღრესი ქმნილებანი კვლავ აღსდგნენ და განცხოველდნენ.

როდესაც დიდი რევოლუცია დაიწყო ამ უკანასკნელთა დასათრგუნავად საფრანგეთში და პირდაპირ უარჰყო სახელმწიფო და სხ.—მას დაეტაკა ბურჟუაზიული რეაქცია, რომელმაც სხვა ფორმით აღადგინა ძველი მონობა, ისევ გაყვლიფა რევოლუციისაგან განთავისუფლებული გლეხები, ისევ შეზღუდა კავშირთა თავისუფლება მუშათა შორის შაპელიეს კანონით 17 ივნისს 1791 წელს,—როდესაც რობესპიერი და მისი სულის მემკვიდრე ნაპოლეონი მოექცნენ სახელმწიფოს თავს და მოუჭირეს საზოგადოებას ბურჟუაზიულ სახელმწიფო-ცენტრალიზმის მუხრუჭი—აი ეს იყო **მეორე ტიპის რეაქცია**, მოკვლა ხალხის შემოქმედებისა, მოკვლა რევოლუციისა, განმტკიცება კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს სულისა, რომლის წინააღმდეგაც იყო ხალხი და რომელშიაც სწორედ გამოიხატებოდა **რევოლუცია**.

1848 წლის რევოლუციის დროს სახელმწიფოს ძალის ხელში ჩაგდება, რევოლუციით მსარგებლებელთა მიერ პარიზში 5,000 კაცის მოკვლა, გერმანიაში ბურჟუაზიის მიერ რევოლუციის ღალატი, დრამა პარიზის კომმუნისა, რომელსაც უნდოდა აეცილებინა თავიდან ძველ რევოლუციათა შეცდომა, უარ-ეყო ახალ მთავრობათა ღალატი და შეექმნა ახალი ტიპი საზოგადოებრივ ორგანიზაციისა,—კომუნა და მათი ფედერაცია,—ეს 40,000 კაცის სისხლი, რომელიც გადაასხეს უარ-ყოფისაგან განთავისუფლებულსა და აღდგინებულს „წესიერებისა“ და საკუთრების დაწესებულებათ,—ესეც რეაქცია იყო- რეაქცია უუსაზიზღრესი და უუსასტიკესი მგელ-კაცა ბურჟუაზიისა და სხვათა...

ჩვენში? ჩვენში-კი ვიტტე-დურნოვო და ძმანი მათნი ატარებენ სისხლით შეღებილ რეაქციის დროშას, და აღადგენენ უარყოფილ კანონს, ყოველ ხალხის ფეხ-ქვეშ გადათელილ დაწესებულებასა და ღირებულებას—ხმლით, თოფით, ცეცხლითა და კიდევ ერთის რბილის, მაგრამ ზნეობრივად მძლავრის იარაღით, რომლის სახელის ხსენებაც ვერაფერი ზრდილობა იქმნება პატიოსან საზოგადოებაში.—**აი მათი რეაქცია**!

Bâton

---

## საადგილ-მამულო საკითხი და სოციალ-დემოკრატია

ჩვენს სოციალ-დემოკრატიას მოუვიდა ცენტრიდან ნება-რთვა განიხილოს საადგილ-მამულო საკითხი უფრო ფართოდ, გადასცდეს „ჩამონაჭრების“ ვიწრო ფარგალს. მადლობა ღმერთს! თავისუფლება ჰქმნის კრიტიკას და კრიტიკა ჭეშმარიტებას. მაგრამ „დოგმას“ ისე ჰყავდა შებოჭვილი სოციალ-დემოკრატების აზროვნობა, რომ ამ ხანად ძლიერ ბორძიკობენ თავისუფალ კრიტიკის ნიადაგზე. რაც უნდა იყოს, მაინც სასიხარულო და სასიამოვნოა, რომ კრიტიკის თვალით შეხედეს თავის კუდ-მოკვეცილ საადგილ-მამულო პროგრამმას, და საჭიროდ მიგვაჩნია ჩავერიოთ მათ-მიერ ატეხილ პოლემიკაში, ვიდრე ახალ საერთო კრებას არ აღუარებია ჯერ რომელიმე აზრი შეურყეველ და შეუცდომელ ჭეშმარიტებად. მას უკან კი მშვიდობით და გამარჯობით: აღარც ერთი საბუთი აღარ იმოქმედებს სოციალ-დემოკრატებზე. მაგალითებზე შორს წასვლა არ დაგვჭირდება. მთელი ერთი წლის განმავლობაში ყური გამოუყრუეს ხალხს, რომ მიწის სოციალიზაცია სისულელეა, გლეხები მხოლოდ „ჩამონაჭრებით“ უნდა დაკმაყოფილდნენო; ამ ნიადაგზე ბრაზ-მორეულნი ეკამათებოდნენ ფედერალისტებს.

მთელი წელიწადი ქადაგებდნენ, რომ ეროვნული ავტონომია ერთობას დაარღვევსო, ახლა-კი საადგილ-მამულო საკითხში მზად არიან მიიღონ ფედერალისტების პროგრამმა; რაც შეეხება ავტონომიას, ამაზე ჯერ სდუმან: ალბად, რცხვენიათ აღიარონ ის, რასაც გუშინ ასეთის თავ-გამოდებით და სიაფთრით უარჰყოფდნენ.

სწორედ ახირებული, თავისებური საადგილ-მამულო პროგრამმა შეუთხზავს ბ. ბესოშვილს (იხ. „ელვა“, 22—23 მარტი). ადგილები უნდა ჩამოვართვათ დიდ-მემამულეებს, ხაზინას, ეკკლესიას და უნდა დავუნაწილოთ კერძო საკუთრებად გლეხებსო. სოფლის ბოგანო მუშებმა-კი უნდა მოითხოვონ იგივე, რასაც ქალაქის მუშები თხოულობენო. მაშასადამე, მინიმუმ-პროგრამმა სოციალ დემოკრატიისა უნდა იყოს: წვრილი საგლეხო წარმოება სოფელში, რვა საათის სამუშაო დღე და ცოტა-ოდნად ქირის მომატება ქალაქის მუშებისათვის და შიმშილი და სიცივე იმ მუშათათვის, რომელთაც სამუშაო ვერ უშოვიათ. ალლაჰმან უწყის, რა აქვს ამ პროგრამმას საერთო სოციალიზმთან. უნდათ გაჰყონ კაცობრიობა ორ ნაწილად: ბედნიერ ნაწილად, რომელსაც ექმნება საკუთრება, მიწა, კაპიტალი ან კარგი ქირა, და უბედურ ნაწილად, რომელსაც არაფერი არ ექმნება, რომლის ცხოვრებაც იქმნება შიმშილი, სიცივე, სიბინძურე, სნეულება, გადაშენება, უდროოდ სიკვდილი. და, რაც უარესია, კერძო მესაკუთრეთა ცილობა, კონკურენცია კიდევ გაამრავლებს ბოგანოთა, უბედურთა რიცხვს, კიდევ უფრო და უფრო შეამცირებს მესაკუთრეთა და ბედნიერთა რიცხვს. და ბოლოს კაცობრიობა იქვე დაბრუნდება, საიდანაც ფეხს გადადგამს. არა, სოციალისტი კერძო მესაკუთრეთა გამდიდრებას ხელს ვერ შეუწყობს, სოციალისტს უნდა ჰქონდეს დასახული მიზნად კერძო საკუთრების განმტკიცება კი არა, სრულიად მოსპობა. მხოლოდ მაშინ, როცა კერძო საკუთრება აღარ იქმნება, აღარ იქნება ერთი მხრით მაძღარი და მეორე მხრით მშიერი, ერთი მხრით ბედნიერი და მეორე მხრით უბედური, მხოლოდ მაშინ მოისპობა უნაყოფო ბრძოლა ადამიანთა შორის, დამყარდება ეკონომიური და სოციალური ერთობა და თანასწორობა. და მხოლოდ მაშინ, როდესაც განმტკიცდება კავშირი ადამიანთა შორის, იქნება შესაძლებელი ადამიანის ყოველ-მხრივი განვითარება.

გლეხები კერძო საკუთრებას ეტრფიანო და ჩვენც იმათ ნებას უნდა მივყვეთო, გვასწავებს ავტორი. მაგრამ ნუ თუ გლეხთა შეუგნებლობა უნდა გავიხადოთ ჩვენი პროგრამმის საფუძვლად? თუ გლეხი შეუგნებელია, ჩვენი ვალია, ავუხილოთ მას თვალი. იმას ხომ ვერავინ იტყვის, რომ გლეხის გონება იმდენად დაბნელებული იყოს, რომ ვერ გაარჩიოს კარგი ავისაგან, ჭეშმარიტება ბოროტებისაგან?! ჩვენს აზრს

ამტკიცებენ ფაქტები. დიაღ, გლეხებსაც შეუძლიათ შეითვისონ თანამედროვე სოციალისტური იდეალი და ამოუდგენ გვერდში პროლეტარებს.

„ელვაშივე“ (იხ. „ელვა“ 25 მარტ.) მეორე „დასელი“ ამბობს, რომ ჩამორთმეული მიწები მთელი მაზრის საერთო, მუნიციპალურ საკუთრებად უნდა შეიქმნესო. ცხადია, არც ამ პროგრამმასა აქვს რამე საერთო სოციალიზმთან. ჯერ ერთი, სახაზინო და საეკკლესიო მიწები სახაზინო და საეკკლესიო გლეხებს სჭირდებათ და დიდი უსამართლობა იქნება მათი ადგილები მთელ მაზრას გადავსცეთ, დანარჩენ გლეხებს-კი ხელი არ შევახოთ. მეორე, აზნაურებსაც ხომ სულ ვერ გავწირავთ, იმათაც ხომ უნდა დავუტოვოთ იმდენი სახნავი, რომ საშუალო გლეხისოდენი შემოსავალი მაინც ექმნესთ, თუ კი თვითონ დაიმუშავებენ თავის ადგილებს. რაღა დარჩება საერთო საკუთრებად? სახნავიდან ბევრი აღარაფერი. საერთო შეიქმნება უმთავრესად ტყეები და საძოვრები. ამას გარდა ამ საერთო ადგილების დამუშავებას დასჭირდება დიდი კაპიტალი, რომელსაც საზოგადოება იშოვის მხოლოდ ბანკში, თორემ ძველებური წესი წარმოებისა ვერ გაამდიდრებს საზოგადოებას. დაუმატეთ ამას კიდევ სახელმწიფო გადასახადები. ჯარისა და ბიუროკრატიის შესანახად საჭირო იქნება გადასახადები შემოსავლის კვალობაზე. ცხადია, რომ, საზოგადოებას ამდენ გადასახადებს შემდეგ მხოლოდ მაშინ დარჩება რამე მოგება, თუ თავის მუშებს გაღლეტს, ცხრა ტყავს გააძრობს ერთის მაგიერად.

საზოგადოდ სოციალ-დემოკრატებს სურთ ხელ-შეუხებელი დასტოვონ საფუძველი თანამედროვე ეკონომიურ ცხოვრებისა, და რაღაც პალლიატივებით უნდა განკურნონ საშინელი წყლულნი საზოგადოებისა. საკვირველია, რომ ვერ ამჩნევენ თავის პროგრამმის შინაგან წინააღმდეგობას. უარჰყოფენ მილიტარიზმს და ბიუროკრატიას, აღიარებენ იმავე დროს ცენტრალიზმსა და კერძო საკუთრებას. არ უნდათ გაიგონ, განგებ ყურს იყრუებენ და პასუხს არავის აძლევენ, როცა წინააღმდეგს უმტკიცებენ...

ჩვენ უარ-ვყოფთ კერძო საკუთრებას, რომელიც არის სათავე ყოველივე ბოროტებისა ამ ქვეყნად. ჩვენ აღვიარებთ საერთო საკუთრებას, საერთო მუშაობას, თანამშრომლობას, როგორც ქალაქსა, აგრეთვე სოფელში. მაშინ თვითეული გლეხი აღარ იტრიალებს უნაყოფოდ თავის დამსხვრ[illegible] ოჯახში, არამედ იმუ[illegible]თან ერთად, აღჭურვილი უკანასკნელ სატეხნიკო გამოგონებით. საზოგადოების შრომის ნაყოფიერი განაწილება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი და, რაც ახლა მიწა გვაქვს, გინდ ას მილლიონ ადამიანს ასაზრდოებს.

კაპიტალი მაშინ საჭირო აღარ იქმნება. ქალაქი და სოფელი ძმურად იქმნებიან ერთმანეთთან შეკავშირებულნი. ყოველი მოქალაქე იმავე დროს წევრი იქმნება რომელისამე სოფლის საზოგადოებისა. საჭირო მასალა და იარაღი სოფელს ქალაქიდან მიუვა, სამაგიეროდ სოფელიც გაუგზავნის სამიწათ-მოქმედო ნაწარმოებს. ამგვარად ქალაქსა და სოფელს შორის იქმნება არა მარტო შრომის განაწილება, არამედ ერთობაც, შეუძლებელი ახლანდელ ცხოვრებაში.

არავინ იფიქროს კი, რომ ეს ერთობა ბატონ-ყმურად იქმნება მოწყობილი. თვითეული ჯგუფი მუშებისა დამოუკიდებელი იქმნება თავის შინაურ საქმეებში. ძალადობა არ იქმნება არსად და არაფერში. არავის არ ექმნება უფლება უბძანოს სხვას, თავისი ნება მოახვიოს სხვას თავზე.

# ფელეტონი

## მხიარულების დღე

(მეგობრის ხელთნაწერიდან)

**კ. ორ-იანისა**

(თარგმანი)

მოხუცი მშობლები დაჟინებით მთხოვდნენ, რომ ბრწყინვალე აღდგომას შინ მივსულიყავ. ჯერ კიდევ ვერ გადამეწყვიტნა ამის ასრულება, თუმცა საშინლად მებრალებოდა დედ-მამა. სადღესასწაულოდ შინისკენ გამგზავრება როგორღაც ვერ ეწყობოდა ჩემს თავში. უქმეებზე ხალხი სამხიარულოდ მიდის სადმე, მე კი მივალ შემოსეულთაგან ბარბაროსულად განადგურებულს მხარეში, ვნახავ სისხლს, ცრემლებსა და მწუხარებას. ამისთვის რად უნდა წავიდე ამ სიშორიდან, ვფიქრობდი მე, ამგვარი რამ ეხლა ყველგან ბლომად არის. მთელს რუსეთში ფეხს ვერ გადასდგამ ისე, რომ სისხლი და ცრემლი არა ნახო,—ერთია მხოლოდ განსხვავება—ბ-ნ დურნოვოს სასახლე. იგი, მზგავსად ზოგიერთ უზნეო რომაელთა, ადამიანთა სისხლის მორევსა და ცრემლში ბრწყინვალე მეჯლისს ჰმართავს, მაგრამ ისიც ვერ არის მხიარული: მითხრეს, რომ რაღაც მაჯლაჯუნასავით თანა სდევს, სიზმრად თვალწინ წარმოუდგება ხოლმე სისხლით მორწყული რუსეთი, თვალწინ უდგება წამებულთა მრისხანე წყებანი. დურნოვო ხედავს მისკენ მიშვერილ მუქარის მუშტებს, ესმის კბილთა ღრჭიალი: „კაინ, სად არის ძმა შენი, კაინ“. ესმის გულის გამგმირი კითხვა. იცის რაც უნდა უპასუხოს და ამიტომაც შიშის ზარს მოუცავს იგი, ამიტომაც სცდილობს ეს შიში რომაულ დიდებულის საზღაპრო მეჯლისით განფანტოს.

ვინ ცხოვრობს მხიარულად ჩვენში? რა დროს მხიარულებაა? გადავწყვიტე არ წავსულიყავი შინ, მაგრამ „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“, ნათქვამია. ასე გამოვიდა აქაც: გადავწყვიტე არ წავსულიყავ, მაგრამ მაინც წაველი.

გზაზე მოწყენილი ვიყავ. გულში მოგროვილი ბოლმა ცრემლმა ვერ გადმოანთხია და ეს კიდევ უფრო მტანჯავდა. ირგვლივ მოჩანდა განადგურებული სოფლები, სამწუხარო ნაშთნი ველურ აოხრებისა, და მეც, საშინელებით მოცული, ვეკითხებოდი ჩემს თავს, ქრისტიანეთა მხარეში, ქრისტეს დღესასწაულზე მივდივარ თუ არა-მეთქი? რა თქმა უნდა, ადვილად გასაგებია, რომ მე ამ დროს ქრისტეზე ვფიქრობდი.

დღეს მე-1906-ჯერ იდღესასწაულებს ხალხი დიდებულ სახალხო მქადაგებლის სახელს. იმას მოიგონებენ აოხრებულნი, წამებულ-გვემულნი, მაგრამ მოიგონებენ აგრეთვე ქვეყნის გამანადგურებელნი, ხალხთა ვაების შემქმნელნი,—ყველა ეს ქრისტიანები. 2000 წლის წინად მოევლინა იგი ქვეყანას და თავის ძლიერის სიტყვით ირგვლივ შემოიკრიბა სიყვარულის მქადაგებელთა არმია. დიდათ გაიმარჯვა, იმისი სახელი საფიცრად გაუხდა ხალხს, ხალხი აღმერთებდა იმას. ეს მაღმერთებელნი ეხლაც იფიცავენ იმის სახელს, სახელს სიყვარულის ამ დიდებულ მქადაგებლისას, და ამასთანავე იმის დიდებულ მსოფლიო ოჯახის წევრნი ჰქმნიან ყველა ამას, რასაც ჩვენს გარშემო ვხედავთ—განადგურებას, მწუხარებას, ცრემლებსა და სისხლს. არასოდეს, თვით ჯვარზედაც-კი, ქრისტეს არ გამოუცდია ისეთი ღრმა მწუხარება, რასაც გამოსცდიდა ამ სანახაობით, რომ შესაძლე-

შეიძლება იფიქროს ვინმემ, რომ, თუ თვითეული ჯგუფი მუშათა თავისუფალი, ავტონომიური იქმნა, სხვადასხვა ჯგუფებს შორის მოხდება ცილობა, კონკურენცია და ამ საეკონომიო ბრძოლას მოჰყვება ბოლოს და ბოლოს ზოგიერთ ჯგუფების გამდიდრება და ზოგიერთების გაკოტრებაო. მაგრამ ამგვარი რამ შეუძლებელი იქმნება, რადგან, ჯერ ერთი, არცერთ ჯგუფს არ გამოადგება თავის უპირატესობაზე ზრუნვა და, მეორე, თუ იქმნა ასეთი მოანგარე ჯგუფი, მასთან კავშირს არავინ დაიჭერს. ამას გარდა არავისთვის არ იქმნება სასარგებლო ვისიმე გაკოტრება, რადგან გაკოტრებული ტვირთად დააწვება საზოგადოებას. და ახლა რომ ადამიანს მიწას, ამ საერთო ბუნებრივ იარაღს, ფეხ-ქვეშ აცლიან და აბოგანოებენ, ეს უსამართლობა ხომ, ცხადია, მაშინ შეუძლებელი იქმნება.

ამგვარად სოციალ-დემოკრატებმა,—აგრეთვე ვერც „ეს-ერებმა“,—ვერ შეიტანეს ხალხში თანამედროვე ეკონომიური შეგნება. იგინი ჩასციებიან რაღაც „ჩამონაჭრებს“, კუდ-მოკვეცილ საადგილ-მამულო პროგრამმას, რომელსაც ზოგიერთები „სოციალიზაციისა“ და „მუნიციპალიზაციის“ სახელით ნათლავენ. სოციალ-დემოკრატებიცა და სოციალისტ-რევოლიუციონერებიც კერძო საკუთრებას იცავენ. რაც შეეხება ბიუროკრატიის, ჯარის და პოლიციის უარ-ყოფას, ეს ნაწილი პროგრამმისა სრულიად არ შეესაბამება პირველ ნაწილს, ე. ი. კერძო საკუთრების პრინციპს. ფედერალისტები სჯობიან სოციალ-დემოკრატებს მხოლოდ მით, რომ აღიარებენ ავტონომიასა და ფედერალიზმს.

რას მივაწეროთ ეს მოვლენა? რატომ არ ქადაგობენ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლიუციონერები სოციალიზმს, ამის მაგიერად კი ლობე-ყორეს ედებიან? იმათ რომ ჰკითხოთ, გეტყვიან, ვითომ გლეხს არ შეუძლია შეიგნოს სოციალიზმიო, მაგრამ განა ცოდვა არ არის ამის თქმა?! *) სოციალიზმი ისეთ ბუნებრივ ადამიანურ პრინციპზეა დამყარებული, რომ მისი შეგნება მშრომელ გლეხისათვის სრულიად არ არის გასაჭირი. ნუ თუ გლეხს არ ესმის თანამშრომელობის, კოოპერაციის მნიშვნელობა[illegible] ნუ თუ გლეხს არა სჯერა, [illegible] კერძო საკუთრება მას კუჭს ვერ უძღებს და ტანს ვერ უმოსავს?! ამის თქმა ხომ ცილის-წამება იქნებოდა.

მაშ ჩვენი საადგილ მამულო პროგრამმა არის გაერთიანება მიწის საკუთრებისა, თანამშრომელობა, კოოპერაცია, კერძო საკუთრების მოსპობა. ეს იდეალი უნდა დაიწერონ თავის დროშაზე გლეხებმა. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ძველის დანგრევა და ახალის აშენება.

ვინ-განი

*) სოციალ-დემოკრატების შესახებ ეს აზრი პატივცემულ ავტორისა მართალია, მაგრამ „ეს-ერები“ კი, ჩვენის აზრით, დღევანდელ პირობებში, განსაკუთრებით რუსეთში, გლეხობას მეტ სოციალისტურ ინსტინქტს იწერენ, ვიდრე მუშებს. რედ.

---

## ნაწყვეტები სოციალიზმის ისტორიიდან

### 1

### წინასიტყვაობა.

ჩვენში ზოგიერთები ქადაგებენ, რომ სოციალიზმი რვა საათის სამუშავო დღეს თხოულობსო. სრულებითაც არა! სოციალიზმი მწარმოებელის სავალდებულო შრომის დაწესებას კი არ მოითხოვს პატრონის და კაპიტალისტის სასარგებლოდ, არამედ მას სურს ყოველგვარ ქირით მუშაობის მოსპობა. ვინც აღიარებს რვა საათის, ორ თუნდ ნახევარ

---

ბელი იყოს და კვლავ ხორცი შეისხას.

ქრისტე ხელახლად ჯვარცმულია. მეორე ჯვარცმა უფრო მწვავეა პირველზე, იქ ჯვარს აცვეს ფარისეველთა და სადუკეველთ, ჯვარს აცვა სიძულვილით გააფთრებულმა ბრბომ, აქ-კი ჯვარს აცმევენ „ქრისტეს მიერ ძმანი“, საკუთარ მის ხელთა ქმნილნი.

მივდივარ ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე და ჩემს გარშემო მყოფთა მწუხარება კი მაფიქრებს იმის ჯვარცმაზე.—ჯვარს აცვეს მთესველი თესლისა კეთილისა.

„საშომან შენმან შვას გველი“, ნათქვამია. სიყვარულმა, სიყვარულის დაუსრულებელმა ქადაგებამ წარმოშობა სიძულვილი—შესაძლებელი შეიქნა კაცთ, მოძულეთათვის სიყვარულის სახელით დაეფარათ თავი.

ქვეყანა ილუპება. ჰაერი გაჟღენთილია გადამდებ, სულისა და გულის მომშხამავ მატლებით. ადამიანნი ცოცხალი ღვთის ხატებანი კი აღარ არიან, არამედ რაღაც ზანტად მთვლემავი ქვემძრომნი. ძველი ქვეყანა მოკვდა, ახალი ჯერ არ არის, ძველი ზნეობა დაილუპა თვისისავე უზნეობით, ახალი ჯერ კიდევ არ არის და ჩვენ უარარაოდ დავრჩით. ყოველი კეთილი, ლამაზი და ნარნარი გრძნობა,—სიყვარული, ოჯახი, მეგობრობა უწყალო და უხეშ ძალმომრეობის ფეხით არის გათელილი. განქრა ტკბილი, ნარნარი ღიმილი თანხმობისა,—იმის ნაცვლად მგლური გამომეტყველებაა. ბოროტმა ეშმაკმა დაიპყრო მთელი ქვეყანა, ყველა იმას ემორჩილება, მეფენი წინასწარმეტყველთ ჰკლავენ. აღვირ ახსნილი და გახრწნილი გულის თქმა ძლიერ შთაბეჭდილებათ ეძებს და ჰპოულობს იმას სიცოცხლისა, იდეალისა, წმიდა და მაღალ მისწრაფებათა შებღალვასა და გათახსირებაში.

ქვეყანა გარდამეტებულ გულის თქმათაგან დაღლილთა და გაცვეთილთა ცხოვრების ქარტეხილში ტრიალებს. არაფერი არ გვახარებს სასიამოვნო, ტკბილის სიხარულით. არც არაფერი გვაწუხებს კარგ, კეთილშობილურ მწუხარებით; მღვდელნი და მწიგნობარნი აქაც ფარისევლობენ, იმათ პირისაგან გამოდის სიტყვა სიყვარულისა, საქმე იმათი კი—მძულვარებაა. ისინი იცინიან, როდესაც მწარეს ცრემლით მოტირალ დედას ხედავენ, ღრმა მწუხარებით წელში მოხრილს, თავის ერთად ერთ შვილის ცხედრის წინ დაჩოქილს. დაილუპა დიდებული, ცხოველს მყოფელი კულტი, კულტი სიცოცხლისა. დაილუპა დიდებული საზოგადოებრივი გრძნობა—ახლობელთა მწუხარების პატივისცემისა. ძნელ და იშვიათად საპოვნელნი გახდნენ მოციქულნი, კეთილნი, იმათი ხვედრი—ტანჯვა და ცრემლებია იმათ დევნიან, ცლითა და ღამით მშიერ მგლის თვალი უყურებს მათ. სატანა დღესასწაულობს, ბოროტი სული ხარობს და სატანის მხიარულ ხარხარზე ირგვლივ მყოფთაგან პასუხად მოისმის ტირილ-ქვითინი იმათი, ვისაც უნუგეშო ვაება და ტანჯვა ახრჩობს. დიახ, ეს საპასუხო გამოძახილი გახარებულ სატანის გულიან სიცილზე ამტკიცებს, რომ კიდევ დარჩენილან გულწრფელად მომტირალნი, გულწრფელი ქირისუფალნი. ესენი საზოგადოების ნაძირალნი არიან. ესენი გარდა საკუთარ მწუხარებისა, ტანჯვისა და ვაებისა, თავიანთის მოხრილის ზურგით ატარებენ გახრწნილ მსოფლიოს ყოველსავე ტვირთს. ესენი არიან ჩვენი მხსნელნი.

საათის სავალდებულო ქირით მუშაობას, მას შეგიძლიათ უწოდოთ პროგრესისტი, რეფორმატორი, მუშათა მეგობარი, ერთი სიტყვით, რაც გნებავთ, მხოლოდ—ის სოციალისტი არ არის.

ჩვენში აგრეთვე დაუჟინიათ სოციალიზმი ცენტრალისტურ-ბიუროკრატიულ საზოგადოებრივ წესწყობილებას მოითხოვს, ავტონომიის და ფედერაციის იდეიას-კი სრულებით უარჰყოფსო. ნამდვილად-კი სოციალიზმს სწამს არა მარტო ნაციათა და ოლქთა ავტონომია, არამედ ასსოციაციათა, ამხანაგობათა და კომმუნათა ავტონომიაც. „დედამიწის დამუშავება განათლებულ და სოლიდარულ კაცობრიობის თავისუფლად დაკავშირებულ ასსოციაციებისაგან“—ასეთია ფორმულა სენ სიმონისა; მსგავსივეა ფორმულა ოვენისტებისა და ფურიერიზმისა.

ვინც უარჰყოფს ავტონომიას და ფედერალიზმს, ის წინააღმდეგია სოციალიზმის (ჩვენებურად საზოგადოებრივობას), ის ემსახურება სახელმწიფოებრივ პრინციპს, ის მომხრეა ცენტრალიზმის და ბიუროკრატიისა: დიახ, არ ყოფილა და არ იქნება ქვეყნად ცენტრალიზმი უჩინოვნიკებოთ, უბიუროკრატიოთ. ბიუროს და კანცელარიის მოტრფიალენი შეიძლება ფრიად კაცთმოყვარენი, განათლებულნი, პროგრესისტები იყვნენ. მაგრამ მხოლოდ ის გარემოება, რომ ისინი ბიუროს და კანცელიარიის ადამიანები არიან, და არა სახელოსნოების, არა ბაღის და მინდვრის, არა სკოლის და საავათმყოფოსი, ნათლად გვიმტკიცებს, რომ ისინი სოციალისტები არ არიან, სოციალიზმი იმათში არ საჭიროებს. ფიზიკური და გონებრივი შრომა გაწესრიგებულ ჰიგიენის მოთხოვნილებათა მიხედვით, არის საფუძველი სოციალისტურ ზნეობრივ ღირებულებათა თანახმად სოციალიზმის მცნებისა.

ფიზიკური და გონებრივი შრომა უნდა იქმნეს ხელმისაწვდენი ყოველ თანასწორ-უფლებიან თავისუფალ, ავტონომიურ ასსოციაციათა წევრებისათვის. ეს ასსოციაციები, ჩინოვნიკების და ცენტრის უხელმძღვანელოთ, თვითონ აწარმოვებენ თავის წევრთა საზოგადო საქმეებს, რასაკვირველია, თავის წევრების თავისუფალ სურვილისამებრ.

აი, სწორედ ამისთვის, ვინც ცენტრალიზმის მომხრეა, ის სოციალისტი არ არის.

მიუხედავად ამისა ჩვენი სოც.-დემოკრატები მომხრენი არიან ქირით მუშაობის და ცენტრალიზმისა; არამც თუ ეპოტინებიან სოციალიზმს, არამედ არწმუნებენ გულ უბრყვილო ადამიანებს, რომ მხოლოდ ისინი არიან წარმომადგენელნი ნამდვილ „მეცნიერულ“ სოციალიზმისა, რომელიც შეჰქმნა მარქსმა და ენგელსმა.

განა მართალია ეს? ნუ თუ ისტორიულ სინამდვილეს ეთანხმება მათი განცხადება ახალ მეცნიერების ახალ სოციალიზმის შესახებ? თუ ეს უბრალო, მოუხეშავი უვიცობის შედეგია და ზემოხსენებულ გერმანელების მოწაფეთ სურთ ჩვენ მუშებს სოციალიზმში არეული პოლიტიკური ბურჟუაზიულ-ლიბერალური დემოკრატიზმი მოახვიონ თავზე?

ამ კითხვათა გამორკვევას ვუძღვნით ქვემო მოყვანილ სტრიქონებს.

—

## ორი ისტორიული დატა

(ციურიხის კონგრესის გამო)

სოციალისტურ საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო ის დადგენილება, რომელიც მიიღო იმ ვითომდა ინტერნაციონალურ კონგრესზე 1893 წ. კანონიერების მომხრე უმრავლესობამ. მაგრამ შემდეგ არავის არ აღუძრავს გადასაწყვეტად, საინტერესო საკითხი: უმრავლესობის მოქმედება უბრალო

---

* * *

თქვენ, თავმდაბალნო მუშაკნო, თქვენ, რომელნიც ცხოვრების ღღიურ ზრუნვის ტვირთსა ზიდავთ, მძიმესა და ძნელს განსაკუთრებით თქვენთვის, თქვენ სამუდამო მოღვაწენო, მოსვენებისა, მშვიდობიანობისა, მართლ-მსაჯულებისა და სინათლის მონატრულნო; თქვენ მუდმივო შემომქმედნო, გაჭირვებისგან მთრთოლვარეს ხელებით სასახლეთა შემქმნელნო, შემქმნელნო კრეზის სიმდიდრისა, სხვათა სიხარულისა, მხიარულებისა, კმაყოფილებისა და მოჭარბებულ სიმდიდრისაგან ლაღობისა, თვით-კი მხოლოდ ქედმოხრით მშრომელნო, ტანჯულნო და მწუხარენო; თქვენ მუდამ დაჩაგრულნო! თქვენ, გახრწნილ ქვეყნისთვის თქვენის ტანჯვით სიხარულის მიმნიჭებელნო, თქვენ მწვავე ვაებით შეწუხებულნო, მომზირალნო ყველა იმის დამცირებისა და შებღალვისა, რაც დარჩა და რაც საუკუნოდ დარჩება თქვენთვის წმიდათ! თქვენ, რომელთაც საუკუნოებით გიშხამვენ ცხოვრებას, თქვენ, ვისი სიცოცხლეც მწუხარებისა და ცრემლებისაგან იშრიტება. თქვენ ძალადობისა და გამანადგურებელ მძიმე ტვირთ ქვეშ მკვნესარნო, თქვენ, მწუხარენო, მშიერ-მწყურვალნო, შიშველნო, უსახლკარონო, მშრომელნო და წამებულნო, თქვენ, შებორკილ თავისუფლებისთვის მგლოვიარე პატიმარნო, თქვენ ნუ შეგეშინდებათ! თქვენთვის მოვა მესია... დრო ახლოვდება, უკანონობამ მიაღწია თავის უკიდურეს მწვერვალს, სიკეთის სამეფოს თავისი ჯერი მოუწევს.

ასე ფიქრობდა დიდებული ისრაელი, წინასწარმეტყველი დანიილი, აპოკალიპსიური ენტუზიასტი, მწარედ მომტირალი თავის ტანჯულ ხალხისათვის.

ჩვენი დრო ილია წინასწარმეტყველის დროსა ჰგავს. ტანჯულს ხალხს სჭირია თავისი მომტირალი, თავისი ილია. საჭიროა, რომ მან მოციქულებრივის ცხარეს ცრემლებით მოამზადოს მესსიას მოსვლა. მესსია ჰყავს მაშვრალ ხალხს, ეს არის იმისი იდეა... ისინი მხურვალედ მიისწრაფვიან მისკენ. ქრისტე არ დასწყევლიდა იმათ, დიდებული ხურო დღესაც მუშაკებთან იქნებოდა. იგი, კეთილის მთესველი, რომელიც სატანისებურის სიამაყით დასცინოდა ხოლმე თავის დროის აზრებს, მიუხედავთ ძლიერთა ამა ქვეყნისათა ყეფისა, შიშველის ფეხებით დადიოდა გახურებულ მიწაზე და კეთილ თესლსა სთესავდა—რასაც სიმართლედა სთვლიდა. იმას უმზადებდნენ ეკლის გვირგვინს, იგი-კი აღუშფოთებლად, ქედმოუხრელად და უშიშრად სთესდა კეთილ თესლს. იმას უმზადებდნენ წამების ჯვარსა და გოლგოთას, იგი, მხურვალე თაყვანისმცემელი იდეისა, რწმენით მიდიოდა ეკლიან გზაზე და სთესდა კეთილ თესლს.

* * *

აქ-კი საშინელებით გარემოცული შევჩერდი ჩემს აზრზე, ვხედავდი ჩემს გარშემო მყოფთა ვაებას, შეშინებული ვიხშობდი მღელვარებას, რომ ტირილი არ დამეწყო, და ჩემს თავს ვეკითხებოდი:

რა დასთესა იმან?

პასუხის თქმა ამ საშიშარ კითხვაზე ვერ გამებედნა ჩემის თავისათვის, მაგრამ საშინელი სიტყვები გაისმოდა ჩემს ყურში: „საშომან შენმა შვას გველი“.

განდეგილი.

ტლანქი შეცდომა იყო, რომელიც დელეგატებმა ჩაიდინეს, თუ ლოგიკური შედეგი ყველა იმისა, რასაც მრავალის წლის განმავლობაში „მეცნიერულ სოციალიზმის სახელით ქადაგებენ, თვალსაჩინო შედეგი ლეგალურ ტაქტიკისა, უმნიშვნელო რეფორმების და პოლიტიკურ არჩევნების კომბინაციებისა?

ჩვენდა საბედნიეროდ, ამაზე თვით ენგელსი იძლევა პასუხს. „უკვე ორმოცდა ათი წელიწადია,—ამბობს იგი კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე,— რომ მე და მარქსმა პირველი ბრძოლა გამოვცადეთ. ეს მოხდა პარიზში 1843 წელს ერთს მიმოხილვაში, რომელსაც სახელად ფრანკო-გერმანული კრებული ჰქვიოდა. იმ მომენტებში სოციალიზმი წარმოდგენილ იყო მხოლოდ პატარ-პატარა სექტებით. ეს წელიწადი აღნიშნავს კიდევ სხვა წლის თავს: სოციალისტურ კონგრესს, რომელიც ოცის წლის უკან შესდგა და რომელზედაც ჩვენ ბრძოლის გეგმა შევადგინეთ, რასაც დღემდით დაუღალავად და უცვლელად ვადგევართ. ეს იყო 1873 *) წ. ჩვენ თავი მოვიყარეთ, შევიმუშავეთ მოქმედების გეგმა და თქვენ ხედავთ სანამდის მივედით ამ საქმეში... დავრჩეთ მტკიცედ შეერთებულნი ჩვენ საზოგადო მოქმედების გზაზე და გამარჯვება ჩვენი იქნება“ **).

ეს მეტად ნათლად არის ნათქვამი, არა? ცხადია, სოციალისტურ საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო ეს, იმიტომ, რომ არ იცნობდა უმრავლესობის მოქმედების გზას, რომლითაც „მეცნიერულ სოციალიზმის“ მეთაურს ასე მოაქვს თავი სწორეთ მოქმედების იმ გეგმით, რომელიც ორმოცდა ათის წლით ადრე გათვალისწინებული და ოცის წლით წინ გადაწყვეტილი ჰქონდათ. რადგან ასეა, ვნახოთ რა მოუტანა ახალი მარქსმა და ენგელსმა სოციალისტურ კონცეპციას და რა ხასიათი ჰქონდა 1872 წლის კონგრესს.

---

*) 1873 კონგრესი ყოვლად უმნიშვნელო იყო სოციალისტური მოძრაობისთვის. მაგრამ ჰააგის კონგრესი-კი 1872, სადაც მარქსმა და ენგელსმა გაიმარჯვეს, იყო ისტორიულად დიდ მნიშვნელოვანი. ამ ვაჟბატონებმა გააძევეს ინტერნაციონალიდან ფედერალისტები და ამ მოქმედებით მოჰკლეს დიდი ასსოციაცია. შა. მასადამე, ჩვენ ვილაპარაკებთ აქ მხოლოდ 1872 წ. კონგრესზე, რომელსაც თავისი ნიშნობლივი ადგილი უჭირავს ისტორიაში.

**) ჩვენ მოგვყავს ციტატა ეკონომისტების ჟურნალიდან. გვ. 328, № 9,1893.

უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ მარქსი, რევოლიუციონერი და დამცველი პროლეტარიატისა, მარქსი, შეუდარებელი პოლემისტი, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა ხალხის სამსახურს მოანდომა, დიდი ვინმეა თანამედროვე სოციალიზმის განვითარების ისტორიაში. 1843—48 წ.წ. მისი აზრების მოკლე მიმოხილვას იმიტომ კი არ ვკისრულობ, რომ მინდოდეს დავამციროთ იმისი ღვაწლი მუშათა კლასსის ემანსიპაციაში. არა, მე მინდა მხოლოდ განვიხილო, ენგელსის დიდს პრეტენზიებს თუ აქვთ რამე სიმტკიცე წარსულში, ან რაგვარი იყო ერთთავათ მათი დოქტრინა აღნიშნულ ეპოქაში.

ჩვენ ვიცით, რომ 1839 წლიდან 1848 წლამდე საფრანგეთში არსებობდა ვრცელი რევოლიუციონური მოძრაობა წმინდა სოციალისტურ მისწრაფებით. ამ გამოცემებით ავსილი იყო ქვეყანა. პრუდონი, პ. ლერუ, ვ. კონსიდერანი, ჟ. ზანდი, ოგიუსტ კონტი, ლამენე, ბარბესი, ბლანკი და ლ. ბლანი ქადაგებდნენ სოციალისტურ დოქტრინებს, თუმცალა ხშირად განსხვავებულს, მაგრამ ყველა ამათ ხშირად იგემებდა ხოლმე მუშათა მასსა. ლ. ბლანი განსაკუთრებით პოპულიარული იყო. იგი შრომის ორგანიზაციის პროექტისთვის ხალხმა ტრიუმფით გაიყვანა, როგორც წევრი 1848 წლის 24 თებერვლის დროებითის მთავრობისა. თავის ჟურნალში „Reyuedu Progrés“, რომელიც 1839 წ. დაარსდა, ლუი ბლანმა დაიწყო თავის, ამ დროისთვის სულ ახალ დოქტრინის, სახელმწიფოებრივ სოციალიზმის სისტემის გამოქვეყნება. ის ამბობდა, რომ სოციალური საკითხი მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოთი გადაწყდებაო; რომ ხალხმა, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოიპოვოს პოლიტიკური ძალა, ხელში დაიჭიროს საკანონმდებლო ძალა, მაგრამ პოლიტიკური ბრძოლა უნდა დაექვემდებაროს ეკონომიურ და საზოგადოებრივ ემანსიპაციას ხალხისასო. უკანასკნელი მიზანია, პირველი — უბრალო საშუალება. ხელთ იგდებენ თუ არა სახელმწიფოს, მაშინვე უნდა მოისპოს ყველა პრივილეგია, ყველა ზოციალისტურ კაპიტალისტური ორგანიზაციები და იმათ ადგილას შემოღებულ უნდა იქმნას ნაციონალურ სახელოსნოების ორგანიზაციები ავტონომიურ ასსოციაციებისთვის უსასყიდლო კრედიტითო. სახელოსნოების დაარსებისა და „ღარიბებზე კრედიტის“ გაცემის შემდეგ სახელმწიფოს არა ჰქონდა უფლება [illegible] ასსოციაციების კერძო ცხოვრებაში, რომელიც კომუნისტურ საფუძველზე უნდა მოწყობილიყო შემდეგის დევიზით: **თითოეულისაგან თავის ნიჭის დაგვარად, თითოეულს თავის მოთხოვნილების დაგვარად.**

ეს არის რამდენიმე სიტყვით ლუი ბლანის დოქტრინა. ლუი ბლანის მოძღვრება ლასალმა გერმანიაში გადაიტანა, მაგრამ პრინციპი სახელოსნოების და ასსოციაციების ავტონომიისა მან, როგორც მოთაყვანემ მთავრობისა და დიქტატურისამ, გამოტოვა. როგორცა სჩანს, ჩვენი დროის სოციალ-დემოკრატია... მაგრამ დაე თვით ენგელსმა გაგვაგებინოს ის, რასაც მარქსთან ერთად გვიქადაგებს იგი ლუი ბლანის შემდეგ!

1848 წლის 24 თებერვლის რევოლიუციის რამდენიმე კვირით ადრე გერმანელ კომუნისტთა ლიგამ გამოაქვეყნა განთქმული „კომუნისტური მანიფესტი“, გადაკეთებული მარქსის და ენგელსის მიერ ვიქტორ კონსიდერანის მანიფესტისაგან. პრაქტიკული საშუალება, რომელსაც ურჩევდნენ ხალხს, შემუშავებული იყო მარქსის და ენგელსის მიერ და შეიცავდა შემდეგს: *)

1) მიწის ექსპროპრიაცია და რენტის მოხმარება სახელმწიფო ხარჯებისთვის.

2) დიდი პროგრესიული გადასახადი შემოსავალზე.

3) მემკვიდრეობის გაუქმება.

4) კონფისკაცია ემიგრანტთა და აჯანყებულთა ქონებისა.

5) კონცენტრაცია კრედიტისა სახელმწიფოს ხელში სახელმწიფო ბანკისა და სრულის სახელმწიფო მონოპოლიის საშუალებით.

6) ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში გადასაზიდ საშუალებათა.

7) სახელმწიფო ქარხნებისა და სამუშაო იარაღების რიცხვის გამრავლება; კულტურა (დამუშავება და მოუმჯობესება მიწისა **საზოგადო გეგმის დაგვარად.**

8) ყველასათვის სავალდებულო შრომა; ორგანიზაცია სამუშაო არმიისა, განსაკუთრებით მიწათმოქმედებისთვის.

აი, ასეთის პროგრამმით დაიწყეს თავიანთი სოციალისტური და რევოლიუციონური პროპაგანდა მარქსმა და ენგელსმა. მიუდგომელმა პირებმა განსაჯონ, ვის ჰქონდა უფრო ვრცლად წარ-

---

მომყავს ციტატა, 1848 წლის გამოცემის ტექსტიდან.

მოდგენილი ჰუმანიტარული და სოციალისტური იდეები: ლუი ბლანს თავისის დევიზით: „თითოეულისაგან თავის ნიჭის დაგვარად და თითოეულს თავის მოთხოვნილების დაგვარად“, ამასთან ავტონომიურ ასსოციაციებით, თუ მარქსსა და ენგელსს თავიანთ „განსაკუთრებულ მონოპოლიით“ monopole eselusit„ საზოგადო გეგმით მიწის დამუშავებით“ და სამუშაო არმიის ორგანიზაციით განსაკუთრებით მიწათმოქმედებისათვის.“

რითი-ღა მოსწონს თავი ენგელსს? მესმის, როდესაც 1813 წ. რობერტოვენის მანიფესტის გამოქვეყნების წლის თავს დღესასწაულობენ, იმიტომ რომ ის რეალურად ფართო და ჰუმანიტარულ სოციალისტურ იდეებს აცხადებდა, მაგრამ ქება-დიდება იმ რიცხვისა, როდესაც პოლიტიკურ ჰორიზონტზე ენგელსი გამოჩნდა თავის რეტროგრადულ იდეებით და დიდათ უბედურ ტაქტიკით... ნურას უკაცრავათ.

განვიხილოთ ახლა მეორე სახელოვანი რიცხვი, 1871—73 წ.წ. ეპოქა, როდესაც საერთო მოქმედების გეგმა დაადგინეს. როგორც ვიცით, ამ გეგმამ თავი იჩინა ციურიხის დეკლარაციაში და იმის ერთად ერთი შესაძლებელი ნაყოფი არის მხარის დაჭერა არსებულ მმართველობათა სისტემისა, რომელიც კაპიტალისტურ ექსპლოატაციასა და უმაგალითო მილიტარიზმზეა დამყარებული.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენთვის საოცარია, როდესაც ენგელსი მასალას პოულობს მარქსსა და თავის თავს მიულოცოს ინტერნაციონალის უკანასკნელ კონგრესის შესახებ. მარქსის სახელ-დიდება მდგომარეობს საპროგრამო პუნქტების და დიდ ასსოციაციის საზოგადო სტატუტების რედაქციაში. ეს ღვაწლი ეკუთვნის იმ დროს, რომელიც გავიდა 1864 და 1869-ს შუა ბაზელის კონგრესამდე — მარქსის აპოგეის დროს. რამდენათაც ცნობილია, 1872 და 1873 კონგრესები მწარე მოსაგონებლად გაუხდა მარქსს, რომელმაც კარგად დაინახა, რომ ამ კონგრესების ნაყოფი იყო იმის ცენტრალისტურ—სახელმწიფოებრივ ფრაქციისთვის სიკვდილის გადაწყვეტა. მართლაც, იმ დროიდან დაწყებული ინტერნაციონალის მარქსისტულმა ფრაქციამ თავისი არსებობა შესწყვიტა და კონგრესები, რომლებიც 1882 წლამდე შესდგნენ, იყვნენ განსაკუთრებით ფედერალისტ ბაკუნისტებისა, რომელნიც ცნობილნი არიან ანარქისტების სახელით.

მაგრამ თუ მარქსი კმაყოფილი არ იყო 1872 წ. კონგრესის შედეგით, სამაგიეროთ ენგელსი ტრიუმფობდა, რადგან კარგა ხანი იყო, რაც განზრახვა ჰქონდა ინტერნაციონალში განხეთქილება გამოეწვია. რეტროგრადიულ იდეებით გაჟღენთილი, რაც ჩვენ ზემოთ უკვე მოვიხსენიეთ, ენგელსი უწყალო სიძულვილს ზრდიდა ფედერალისტ-ანარქისტულ ნაწილისადმი, განსაკუთრებით „ინტერნაციონალურ სოციალისტურ კავშირის“ წევრებისადმი. ფედერალისტები უფრო ძლიერნი იყვნენ შვეიცარიასა, ბელგიასა, ესპანიასა და იტალიაში.

ენგელსი, როგორც ინტერნაციონალის საზოგადო საბჭოს წევრი და როგორც ესპანიის კორესპონდენტი წევრი, 1872 წ. 24 ივლისს ესპანიურ ფედერალურ საბჭოს დაუჯერებელ წერილს სწერდა, რომელშიაც კავშირის ყველა წევრების სიას თხოულობდა. ეს წერილი შემდეგის სიტყვებით თავდებოდა: „თუ არ მივიღია გადაჭრილი და დამაკმაყოფილებელი პასუპი კურიერის დაბრუნებისათანავე, საზოგადო საბჭო საჭიროდ ჩასთვლის დაგაბეზღოს თქვენ ქვეყნის წინაშე და სხვა. (იხილე Mémoire de la féderalion jurassienne, p. 250).

ენგელსმა საბჭოს სხვა წევრების დაუკითხავად მისწერა ეს წერილი, საბჭომ. იუნგისა და მარქსის წინადადებით, მსვლელობა აღარ მისცა ამ წერილს, განთქმულს მას აქეთ.

ადგილი არა გვაქვს დაწვრილებით გადმოგცეთ ის ინტრიგები, მარქსი, ენგელსი, ლაფარგი, უტინი და ძმანი მათნი რომ ეწეოდნენ ფედერალისტების, განსაკუთრებით ბაკუნინის და გილომის წინააღმდეგ. მოვიყვანთ პატარა ნიმუშს მარქსის საიდუმლო ცირკულიარიდან, იმის მეგობარ გერმანელებთან მიწერილს:“ „ამის შემდეგ ჩქარა მოკვდა გერცენი. ბაკუნინმა, რომელმაც მას შემდეგ, რაც ევროპის მუშათა მოძრაობის მეთაურობა მოინდომა, პირი იბრუნა თავის მეგობრისა და შემწისაგან, სიკვდილის შემდეგ გულ-და-გულ ქება დაუწყო იმას. რისთვის? გერცენი თუმცა პირადათ მდიდარი იყო, მაინც იღებდა წლიურად 25,000 ფრანკს რუსეთის პანსლავისა და ფსევდო-სოციალისტებისაგან, რომლებთანაც მას კარგი განწყობილება ჰქონდა. ბაკუნინმა გერცენის ქებით ეს ფული თვისკენ მიიზიდა და ამნაირად გახდა მატერიალურად და მორალურად იმის მემკვიდრედ და ეს იმის მემკვიდრეობის ზიზღის მიუხედავად, cine beneficio inventerii.“

როგორი უმსგავსო ცილის წამებაა გერცენისა და ბაკუნინის შესახებ! უნდა ძალიან საძაგელი და სულ მდაბალი იყოს კაცი, რომ ამგვარი ცილისწამება შესთხზას და ირწმუნოს. ეს გამოიგონა უტინმა, მარქსმა გაავრცელა, ხოლო იმას მიჰყვნენ ლიბკნეხტი, ჰესი, ბერქხეიმი და სხვები. ვთქვათ მხოლოთ, რომ ამ ინტრიგებმა გამოიწვიეს ინტერნაციონალში ის განხეთქილება, რომელიც მოხდა სამწუხარო მოგონების 1872 წლის კონგრესზე. საზოგადოთ, ცნობილი არ არის ის მანერა, რომელიც იხმარეს ამ კონგრესის მოწვევისათვის. საკმარისია ვთქვათ, რომ მარქსმა და ენგელსმა ბრძანება მისცეს ნიუ-იორკის გერმანულ სექციის დელეგატ ზორგეს, მოეგროვებინა სახელ და გვარ მოუწერელი მანდატები, რაც შეეძლო მეტი. ზორგემაც მართლა ბევრი მოიტანა ასეთი მანდატები. ესენი მარცხნივ და მარჯვნივ დაურიგეს მარქსის და ენგელსის მომხრეებს, მაგრამ მეტის მეტი ის იყო, რომ ამ ვაჟბატონებმა, როგორც წევრთ ინტერნაციონალის საზოგადო საბჭოსამ, ისეთი კაცები მოიყვანეს თან, რომელთაც არავითარ სექციაში არასოდეს მონაწილეობა არ მიუღიათ; ის კი არა, მოიყვანეს თვით სახელოვანი, ენგელსის დაახლოვებული მეგობარი მიულტმან ბერრი, კორესპონდენტი „სტანდარტისა“ და ინგლისელ კონსერვატორების აგენტი. ამნაირად შემდგარ უმრავლესობით გამორიცხეს ბაკუნინი, გილომი და მათთან ერთად ფედერაციები იურის, ისპანიის, იტალიის, ბელგიისა და ინგლისისა.

მარქსთან, ენგელსთანა და ბერრისთან ერთად დარჩნენ მხოლოდ გერმანელები და რამდენიმე განკერძოვებული ჯგუფები სხვა და სხვა ქვეყნებში. ყველა მომქმედი და რევოლიუციონური ელემენტები ფედერალისტ-ანარქისტებს შეუერთდნენ და მხოლოდ ამათ განაგრძეს 1882 წლამდე ინტერნაციონალის მოწვევა. *)

---

*) არ არის უსარგებლო გავიხსენოთ, რომ იუნგმა უარი უთხრა წასულიყო ამ კონგრესზე. „მარქსი და ენგელსი მაიძულებდნენ წავსულიყავ... მე უარი ვუთხარი... მეორე დღეს ისინი ხელახლა მოვიდნენ... ენგელსმა კიდეც მითხრა: „თქვენ ერთად ერთი კაცი ხართ, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს ასსოციაცია“-ო. მე ვუთხარი, რომ მხოლოთ ერთი პირობით შემიძლია წავიდე ჰააგაში, ეს პირობა ისაა

რა დატა გაიხსენა ენგელსმა! რა არის საკვირველი ამაში, რომ ლეგალისტური (კანონიერების მომხრე) უმრავლესობა, წარმოშობილი მსგავს სახელოვან საფუძვლებისაგან, შეურიგდა მთავრობას ციურიხში, დაამარცხა დამოუკიდებელნი და იქადაგა ომი?..

ვ. ჩერქეზიშვილი.

## ეკონომიურ მონიზმის კრიტიკა

(გაგრძელება)

ყოველ გვარი მონიზმი არის მიზეზობრივობის (причинность) პირვანდელ მოქმედების შეგნების ცდა (актъ первоначальнаго причиненія). მაგრამ მონისტური მიზეზობრივობა (причинность) შეუძლებელია ერთი იმიტომ, რომ ის, როგორც პირველი მიზეზი, არღვევს იმ დაუსრულებლობის მიზეზობრივობას, რომელიც არის მიუცილებელი პირობა მცნების (познанія), რითაც მონისტური მიზეზი რჩება მცნების გარეშე (внѣ познанія), მეორე მხრით, შეუძლებელია აგრეთვე იმ მოსაზრებით, რომ ნივთიერობრივობა არის მიზეზობრივობა კი-არა, არამედ ყველა მოვლენების, არსებობის საერთო მხარე—საერთო მანერა ყველა არსებობობისა, სული, გონება. და ერთი სიტყვით პსიხიური მოვლენა ამგვარადვე არის მეორე მხარე, მეორე მანერა არსებობისა, მაგრამ ამასთანავე ეს უკანასკნელი საზღვროვანი, ზოლიანი და დროებითია—ის კერძო შემთხვევაა, მაშინ როდესაც ნივთიერობრივობა, მოძრაობა, ენერგია არ არიან საზღვროვანი დროსა და სივრცეში—ისინი არ არიან დროს და სივრცის გარეშე, და დრო და სივრცე არის მათ გარეშე; ყველა ეს ხუთი მცნება უთავბოლონი არიან (безконечности) და რადგან ყველა უთავბოლოებია, დაუსრულებლობა სოლიდარული, თანაზიარი არიან როგორც გონების ანალიტიურში, ისე სინტეტიურში, ისინი შეირთვიან (совпадаютъ) ერთად დაუსრულებლობაში დაუბოლოებლობაში—ანარქიაში.

ნივთიერების ყველა სხვა და სხვა ნაწილები სივრცეში სხვა და სხვა ადგილას არიან მოთავსებული, ამიტომ განიცდიან სხვა და სხვა გავლენას სხვა და სხვა ძალებისას, სხვა და სხვა მოძრაობას და სხვა და სხვა მდგომარეობაში არიან.—ბუნებაში ყველაფერი განსაზღვრულია და არ არსებობს ერთდაიგივეობა, იდანტიურობა, არ არის განმეორება (нѣтъ повтореній), მაშასადამე, არ არსებობს „კანონი“. ვანსხვავებულთა ურთიერთობის განვითარება არის მსოფლიო ნივთიერების განვითარება, ისე როგორც განსხვავებული ერთი მეორისაგან და არა წინააღმდეგი ერთეულები შეადგენენ რიცხვს, ისე, როგორც ჩვენ არის მე-ს განვითარება, ისე როგორც საზოგადოება არის პიროვნების განვითარება და არა გაქრობა, რადგან დიფერენციალის მოსპობა იქნებოდა ინტეგრალის, ატომის გაქრობა, გათქვეფა იქნებოდა ან განადგურება მსოფლიოსი ან მსოფლიოსი ერთ ატომად გადაქცევა, რადგან ერთეულის შესუნთქვა და გაქრობა-გათქვეფა რიცხვში რიცხვების ან განადგურება იქნებოდა ან საყოველთაო ერთეულად ქცევა, რადგან პიროვნების გაქნა და გათქვეფა საზოგადოებაში ან განადგურება იქნებოდა საზოგადოების ან საზოგადოების ერთ ორგანიზმათ, ერთ პიროვნებად, ჰიპოსტასად გადაქცევა იქნებოდა.

ყველა ამ საფუძვლით, და აგრეთვე ბევრ სხვებითაც, რომელსაც ჩვენ აქ ვერ მოვიყვანთ, მსოფლიოს ნივთიერება პროცესით არის ევოლიუციონისტური—საფუძვლით კი ინდივიდუალისტური. ეხლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ვინაიდან ევოლიუცია არის, სპენსერის არ იყოს, (sans commancement) და ამასთანავე, ჩვენი აზრით, დაუსრულებელი (безъ конца) წარა-მარაობა ნივთიერების მუდმივი მოძრაობა, კინეტიკური მდგომარეობა ნივთიერებისა, ამიტომ არა თუ განმეორება, არამედ არავითარი თანდარიგობა (регулярность) არ არსებობს, რადგან მოძრაობა უთანდარიგობაა. წარმოიდგინე, გაოცებულო მკითხველო, არ არსებობენ ბუნების არც ასტრონომიული ,,გადაუვალი'' (непреложные) „კანონები და რკინის არც სპილენძის ,,კანონები''—არ არსებობს წეს-რიგი სამყაროში (pas d'ordre). *)

ყველა სპეციალური მონისტური შეხედულება, რომელიც შეეხება მსოფლიო ისტორიის კერძო, სპეციალურ მოვლინების ჯგუფს, დაკავშირებული უნდა იყოს საზოგადო, ნატურ-ფილოსოფიურ მონიზმთან, რადგან მსოფლიო ერთია და ამიტომ მხოლოდ ამ ზოგად შეხედულების ჭეშმარიტებით და შეცდომით შეიძლება კერძო მონიზმის შეცდომილების ან ჭეშმარიტობის დამტკიცება—თუ სახლი არსებობს, ოთახების არსებობა შესაძლებელია, თუ მრთელი არის, მისი ნაწილებიც არის, მაგრამ თუ არც სახლი და არც მრთელი არ არსებობენ, მაშინ ვერც შენობის უჯრედები და ვერც მრთელის ნაწილები იარსებებენ.

მარქსის ეგრედ წოდებული ისტორიული მატერიალიზმი ისტორიული მატერიალიზმი-კი არ არის, არამედ ეკონომიური მონიზმია ჩვენთვის ის მოსაზრებანი, რომლებიც ზევით მოვიყვანეთ, საკმარისია იმისთვის, რომ ზოგადი ნატურ-ფილოსოფიური მონიზმი ვიცანით, როგორც ნამდვილი უნივერსალი (l'un des universaux) და როსცელინის თანახმათ აღვიაროთ ის როგორც სახელი ბგერა, nomina flatus vocis. რეალისტების აზრით იდეები არსებობდნენ საგნებზე ადრე. ისინი (მაგალითებ ვილგელმ შამპო) ამბობდნენ universalia ante rem, non post rem, ჩვენი აზრით კი res ante universalia, non post universaliam. თუ ზოგადი ნატურ-ფილოსოფიური მონიზმი შეუძლებელია, მაშასადამე, შეუძლებელია კერძო ისტორიულიც.

სანამ შევუდგებოდეთ მარქსის კერძო ეკონომიურ მონიზმის გარჩევას, მანამ ჩვენთვის საჭიროა შევეხოთ მარქსის სხვა და სხვა აზრების გენეზისს.

ფ. ენგელსის აზრით და აგრეთვე კაუცკის აზრითაც მარქსმა დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობას იმით, რომ მისი „ორი დიდი აღმოჩენით, ისტორიის მატერიალისტურ კონცეპციით და კაპიტალისტურ წარმოების საიდუმლოს აღმოჩენით მეტ-ფასის საშუალებით სოციალიზმი შეიქმნა მეცნიერება“. მართალია ეს? ჩვენ არ გვგონია, რადგან წინააღმდეგი ვიცით. ვიცით, რომ ყველა ის ისტორიკოსები, მეცნიერები და ფილოსოფოსები, ვინც-კი აღიარებდა ისეთ აზრებს, რომლითაც საზოგადოებრივი მექანიზმი მოჰყავს მოძრაობაში ოროგრაფიულ, გეოგრაფიულ, კლიმატერაულ - ტელლურიულ, კოსმიურ, ანტროპოლოგიურ და ბიოლოგიურ პირობებს, ყველა ესენი მატერიალისტები არიან; აგრეთვე ისინი, ვისაც სწამდა, რომ მრეწველობა და წარმოება არის საფუძველი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, არიან ეკონომიური მონისტები. ჰეროდოტი, არისტოტელი, თუკიდიტი, ბოდენი, მონ-

---

რომ მარქსი და ის (ენგელსი) ნუ წავლენ იქ". — სჩანს, რომ თავიანთ მომხრეებს შორისაც-კი მათ გავლენას უბედურებათ სთვლიდნენ.

*) რედაქციას საჭიროთ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ეს ჩვენი თანამშრომლის კერძო აზრია.

ტესკიე, იუსტუს მოზერი (1768) ამბობდა, რომ სამიწათმფლობელო ურთიერთობა ცენტრია გერმანიის ისტორიისო.) ქიმიკოსი ლიბიხი ამტკიცებდა, რომ საბერძნეთის, რომის და ესპანიის კულტურა ნიადაგის გამოფიტვამ დასცა, (ნიადაგს აკლდა ფოსფატი, პოტაში); დიუბუა რეიმონდის აზრით რომაელები დაღუპა იმან, რომ ბუნების მეტყველების და ტეხნიკური ცოდნა არა ჰქონდათო.

სოციალისტები კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ესენი ამბობდნენ თავიანთ თხუზულებებში და ამტკიცებდნენ თავიანთ მოქმედებით იმას, რასაც მარქსი მათ შემდეგ. სენ-სიმონის აზრით, ეკონომიური ურთიერთობა საფუძველი არის საზოგადოებრივი ურთიერთობისა, ის აძლევდა მნიშვნელობას ეკონომიურ კლასებს და არჩევდა მათ ერთი მეორისაგან. პრუდონმა თავის გამოკვლევების საფუძვლად გახადა შრომა და მიაქცია უმთავრესი ყურადღება ქონებრივ ურთიერთობას, ეკონომიურ წინააღმდეგობას. პოზიტივისტი კონტი, მასწავლებელი პრუდონის და მარქსისა, სენ-სიმონის გავლენით ამბობდა, რომ ისტორიული საფუძველი საზოგადოებრივ ცხოვრებისა არის მრეწველობა; იმის აზრით, ინდუსტრიალიზმს მილიტარიზმზე უპირატესობა აქვს და წარმოადგენს საფუძველს (principale base) თანამედროვე საზოგადოებისას. ლუი ბლანი, ბლანკი და ბევრი სხვა აძლევდნენ უმთავრეს მნიშვნელობას პროლეტარიატს—სწამდათ მისი ძლიერება. მარქსის ეკონომიურ მონიზმს, ეკონომიურ ურთიერთობას, საწარმოვო იარაღებს, ტეხნიკას, როგორც საფუძვლებს საზოგადოებრივ განვითარებისას, მარქსზე უფრო ადრე (არა მასზე ნაკლებ სრულად და ნათლად—პრუდონი და ყველა სოციალისტები) აქცევდნენ ყურადღებას, ამიტომ გამოგონებულის და დამტკიცებულის ხელახლა გამოგონება და დამტკიცების მითვისება სრულიად მეტი იყო, ამასთანავე არც დიდი საკვირველებაა უმეტესად მაშინ, როდესაც საბუნების-მეტყველო და ეკონომიური მეცნიერება ისეთი განვითარებული იყო, როგორც მაშინ. ფიზიოკრატები, ენციკლოპედისტები, მთელი ინგლისის სკოლა: ადამ სმიტი, მალტუსი, რიკარდო და სხვები აღიარებდნენ ეკონომიურ ფაქტორს და ტეხნიკას. ჰარინგტონი, ავტორი Océana-სი ამათზე უწინ ამბობდა, რომ ყველა სოციალური ფორმები ჩამოსხმული არიან ქონებრივ ურთიერთობაზე, საკუთრებაზე. თვითონ მარქსი მანდევილის „La fable des abeilles“-ს (1766) მიაწერს ეკონომიურ მონიზმის დასაწყისს. მაგრამ ყველა ამის მიუხედავათ ყველა უფროსი და უმცროსი მარქსისტები, ყველა „მარქსიონკები“ და „მარქსიატები“ გაიძახიან ერთ ხმაზე, რომ მარქსმა „ისტორიული“ და „სოციოლოგიური“ კანონები გამოიგონა და აღმოაჩინაო. მართლა თუ გამოიგონებს ადამიანი „კანონებს“, თორემ არსად მსოფლიოს, ბუნების არც ერთ კუნჭულში არავითარი „კანონი“ არ არსებობს. აღმოჩენა იმის, რაც აღმოჩენილია, ჩვენთვისაც ადვილი მოსახერხებელია, მაგრამ ძნელი გასაგებია ის, როგორ ახერხებენ გადაწყვეტას იმ კითხვისას, რომლებიც მარქსისგან მათ აღმოჩენის შემდეგ, მიუხედავათ უთვალავ მარქსისტების ზედ მიშვერილ თითებისა, არ იქნა და არა ვერ აღმოაჩინეს და ვერ დაინახეს მთელი ქვეყნის მეცნიერებმა? ნუ თუ გადაწყვეტა იმისა, რომ პრობლემები, რომლებიც დღესაც სადავო არიან: არსებობენ თუ არა სოციოლოგიური კანონები, მაშასადამე აგრეთვე ეკონომიურიც და ამასთანავე ისეთი მუდმივი, საყოველთაო, ზოგადი და განყენებული ხასიათით, რომელიც შეეფერება ყველა საზოგადოების ყველა დროსა და სივრცეში, ასე ადვილი არის?

მარქსს და ენგელს სხვა ეკონომისტებთან ერთად სწამთ, რომ განსაკუთრებულ ეკონომიურ ხანას თავისი განსაკუთრებული ეკონომიური კანონები, განსაკუთრებული ფორმები აქვს. თუ ყველაფერს ბუნებასა და ისტორიაში თავისი ფორმები, კანონები აქვს, მაშასადამე უფორმობაც, უკანონობაც ამ კანონთა და ფორმათა შორის, ესე იგი ანარქია შესაძლებელი ყოფილა და ამნაირად მარქსიზმის ისტორიული დიალექტიკა, დიალექტიკა კანონებისა დიალექტიკურადვე თავს იკლავს—ის კვდება იმ იარაღისგან, რომლითაც სხვის განადგურებას ჰლამოდა; შიში ჯოხიდანაც კი ასრულინებს კაცს, მაგრამ ჯოხს ყოველთვის ორი თავი აქვს და შეიძლება პატრონიც თან გადაიტანოს. დიალექტიკა წინააღმდეგობა, უკუღმართობაა, ვერავითარ მონიზმს ვერ წარმოშობს და თუ წარმოშობა, მხოლოდ მკვდრად დაბადებულს წარმოშობს.

სოციალიზმი მარქსიზმით არ დაწყებულა და არც მარქსიზმით გათავდება. ყველა სოციალისტური მოძღვრება, რომლებიც მარქსიზმზე ადრე არსებობდნენ, თავის აზრებს ამყარებდნენ ეკონომიურ ურთიერთობაზე და ... წარმოების, მოხმარების და გაცვლა-გამოცვლის მოწყობას ახალ საფუძველზე, მაშასადამე, მოტივები ეკონომიური ჰქონდათ. მარქსმაც მათ შემდეგ ამნაირად შეიგნო სოციალური კითხვები. მარქსის აზრით, ფილოსოფია სოციალიზმის თავი იყო, პროლეტარიატი-კი გული (ფეხები ვინღა იყო? ალბათ, პარლამენტი ფეხებია). სოციალიზმს ფესვები, მოტივი დიდ უმრავლესობის სიღატაკეში ჰქონდა.

ვთქვათ რომ აღმოჩენილის აღმოჩენა შესაძლებელია, ვთქვათ, რომ მარქსმა და მისმა ტყუპმა ენგელსმა უფრო მეტაფიზიკურად შეიმუშავეს ის მდიდარი მასალა, რომელიც სიუხვით იყო გაბნეული მათ თანამედროვე ევროპის ლიტერატურაში, მაგრამ იმის თქმა, რომ იმათ ყველა თავისი აზრი მეცნიერულად დაასაბუთესო, არ შეგვიძლია. მაშინ როდესაც კონტი, სპენსერი, დარვინი, ჰეკელი თავიანთ მცირე რიცხოვან პრინციპებს უზარმაზარ ფაქტების რიცხვით, ფაქტების მთელი მომბლანით ინდუქტიურად და დედუქტიურად იკვლევენ და ასაბუთებენ, მარქსი და ენგელსი თავიანთ იპოტეზების და პრინციპების კალოს დიალექტიკურ მეთოდით ანიავებენ. როდესაც ამნაირ აზრებს გამოთქვამთ მარქსისტების წინაშე, მაშინ ისინი ერთ ფეხს წინ წასდგამენ, წელში უკან გადაიხრებიან, თავს ზევით ასწევენ, ხელს წინ გაიშვერენ და avec un air de pontif, infail lible: ისწავლეთ ისტორია და იქ ნახავთ დამამტკიცებელ საბუთებს და ფაქტებს ჩვენი თეზისისას; თითქოს ისტორია მხოლოდ მათ სწყალობდეს და ანდობდეს თავის საიდუმლოს, მაგრამ ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ ისტორია ისეთი პლასტიკური, ადვილი საჭედი ნივთიერება არის, რომელიც დახელოვნებულ მეცნიერის ხელში ალთასაც იტყვის და ბალთასაც. ერთ და იმავე მასალით ბევრნაირ სტილის შენობა აშენდება. ისტორია რომ დაუნდობელია, ცხადია, იქიდან, რომ იმის საშუალებით ბევრი შეუმჩნეველი აღმოჩენა მეორე კაცის ხელში შესამჩნევი ხდება.

არა თუ სისმონდის, რიკარდოს, როდბერტუს და ლასალს აქვთ ის, რაც მარქსს, არამედ პოლიტიკო-ეკონომიის მამამთავარს სმიტსაც ბევრი რამ აქვს

ისეთი, რომლების აღმოჩენა ხელახლა საჭიროდ დაინახა მარქსმა და მისმა ტყუპმა ენგელსმა.

***

სმიტი ამბობს: „საზოგადოების ამ პირველყოფილ, უსახო მდგომარეობაში, რომელიც წინ უძღვის თანხების მოგროვებას და მიწის მისაკუთრებას, ერთადერთი გარემოება, რომელსაც შეუძლია მოგვცეს წესი გაცვლა-გამოცვლისა, არის, როგორცა სჩანს, რაოდენობა საჭირო მუშაობისა სხვა და სხვა გასაცვლელ-გამოსაცვლელ საგნების შესაძენად. მაგალითად, რომელსამე მონადირე ხალხში, თუ წავის მოკვლა ღირს ჩვეულებრივად ორჯერ მეტ შრომათ, ვინემ daim-ის მოკვლა, მაშინ ერთი წავი ეღირება ბუნებრივად ორ daim-ათ, ან გაიცვლება ორ daim-ში. ბუნებრივია, რომ ის, რაც ჩვეულებრივად ნაწარმოებია ორი დღის ან ორი საათის მუშაობისა, ღირდეს, ორჯერ იმისა, რაც არის ნაწარმოები ჩვეულებრივათ ერთი დღის ან ერთი საათის მუშაობისა. ერთი გვარი მუშაობისა უფრო მძიმე რომ ყოფილიყო, ვინემ მეორე, რასაკვირველია, დაიჭერდენ ანგარიშს დაღალვის გადიდებისას და ამ მუშაობის უმძიმესობას; ნაწარმოები შეიძლებოდა ხშირად გაცვლილიყო მეორე გვარის ორი საათის მუშაობაში. აგრეთვე, თუ მუშაობა მოითხოვს არა ჩვეულებრივ ხარისხს გამოჩვევისას და სიმარდისას და ფასი (estime), რომელსაც ადამიანები სდებენ ამ ნიჭს, მიუმატებს, რასაკვირველია, მათ ნაწარმოებს იმაზე აღმატებულ ფასს, რაც ერგებოდა მუშაობაში დახარჯულ დროში, იშვიათია, რომ ეს ნიჭი შეიძინებოდეს უხანგრძლივო ბეჯითობით და აღმატებული ფასი, რომელსაც მიაკუთვნებენ მათ ნაწარმოებს, არის ხშირად გონიერი დაჯილდოება იმ შრომისა, რომელიც დაიხარჯა იმათ შესაძენად“.

ჩვენ ვხედავთ, რომ მარქსისთვის, ისე როგორც სმიტისთვის, არსებობს კანონები, რომლებიც კაპიტალისტურ წინანდელ, პირველყოფილ ხანას შეეფერებიან. სმიტი ისე, როგორც მარქსი, ღირებულობას შრომაზე ამყარებს და ამ შრომის, მუშაობის ზომად ხმარობს სოციალურად საჭირო შრომას, ურომლისოდაც, იმის აზრით, საქონლის წარმოება არ შეიძლება. ის, მარქსის თანახმად, ე. ი. ქრონოლოგიურად მარქსი მის თანახმათ, ამბობს, რომ არის კვალიფიკაცია შრომისა; მასაც და მარქსსაც შრომა კვალიფიკაციური (qualifié) უნდათ გაზომონ სადე შრომით.

ნუ თუ ამის შემდეკ ამ აღმოჩენილების აღმოჩენა შესაძლებელი იყო, ან ძნელი? გაუმჯობესება სხვაა და გამოგონება სხვა. მაგრამ საკითხია ისიც, გაუმჯობესდა რამე უფრო თუ უარესად დაბნელდა. არისტოტელმა დუალიზმი ისეთის სისტემით შეჰქმნა, რომ მის მოწინავეებს სიზმარშიაც კი არ მოლანდებიათ, მაგრამ ემპედოკლი და დემოკრიტი მაზე ადრე და მაზე უფრო ახლო იყვნენ ჭეშმარიტებასთან.

სმიტი განაგრძობს კიდევ უფრო დაბეჯითებით: „საგნების ამ მდგომარეობაში მუშაობის ნაწარმოები ეკუთვნის სულ მთლად მუშას და მუშაობის რაოდენობა, რომელიც ჩვეულებრივად გასაცვლად (échanqeab) საგნის ან შესაძენად ან საწარმოებლად არის საჭირო, არის ერთად ერთი გარემოება, რომლითაც შეიძლება განსაზღვრა (qui puisse réqler) მუშაობის რაოდენობისა, რომელიც ამ საგანმა საზოგადოთ უნდა იყიდოს, დაუკვეთოს ან მიიღოს ნაცვლად“.

დღესავით ნათელია, რომ სმიტსაც ისე, როგორც მარქსს, მიაჩნია საწარმოვო ღირებულობათა საერთო ზომად ჩვეულებრივი ე. ი. ნორმალური, საშუალო ან სოციალურად საჭირო დრო.

მკითხველი ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ვინმე ეკონომისტის ავტორიტეტის სასარგებლოდ ვცდილობდეთ და მარქსის საზარალოდ. ჩვენთვის ყველა ავტორიტეტს უარყოფითი ღირებულება აქვს, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ მარქსმა აღმოაჩინა რამე თუ გაიმეორა „იგივე გალობა და მსგავსი მუსაიფი“ ცოტაოდენი ვარიაციით. ამასთანავე ჩვენ გვინდა კარგად გავარკვიოთ, რომ სოციალიზმის ბედ-იღბალი არ არის მიჯაჭვული მარქსიზმზე ისე, როგორც პრომეთეოსი კავკასიონის ქედზე. სოციალიზმი უმარქსიზმოთ იგივე იქნება, რაც იყო და არის მეცნიერების განთავისუფლება მეტაფიზიკიდან, ფილოსოფის თეოლოგიიდან.

შ. გ.

---

## მუშათა მოძრაობა

—

### საფრანგეთი

**გაფიცვა კურიერში.** უკანასკნელ № გაზეთისა ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ამ გაფიცვის შესახებ. გაფიცვა ისე უცებ არ გათავდა, როგორც ჩვენ გვეგონა, და ეს იმისთვის, რომ, როგორც მერმედ შევიტყეთ, იქ არსებულ მუშათ ორგანიზაციათა მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, შეიცვალა; დღემდის იქ ორი ორგანიზაცია არსებობდა: ერთი ეგრედ წოდებული ძველი სინდიკატი, რომელიც პარლამენტარისტ—სოციალისტთა ხელში იყო, მეორე ორგანიზაცია კი ეკედლებოდა მუშათა „საერთო კონფედერაციას“. ეს ადგილი, როგორც წინა № ვსთქვით, ერთი ისეთ ადგილთაგანია, სადაც სოციალ-დემოკრატიას, განსაკუთრებით მის ოპორტიუნისტიულ ნაწილს, არ დაუკარგავს ჯერ კიდევ სრულიად გავლენა. დღეს საფრანგეთში ერთად ერთი მართლა მუშათა ორგანიზაციაა „საერთო კონფედერაცია შრომისა“, მაგრამ რადგან ის თავის ტაქტიკით და მისწრაფებით განირჩევა სოციალ-დემოკრატიულ პარტიისაგან, ეს უკანასკნელი უშლის ხელს ამ ორგანიზაციის გაზრდა-განვითარებას. მიუხედავად ამისა ეს ორგანიზაცია მაინც გაიზარდა, ამაშია შეკავშირებული დღეს უმეტესი ნაწილი შეგნებულ პროლეტარიატისა. ჩრდილოეთ საფრანგეთში არსებული ფედერაცია მადნის მუშათა ორად გაიყო, ერთი ნაწილი მიეკედლა კონფედერაციას, მეორე ნაწილი ისევ ოპორტიუნისტ-სოციალდემოკრატიის (ბალი, ლამანდენი) გავლენის ქვეშ დარჩა. ეხლა, როგორც ვტყობილობთ, ეს უკანასკნელი სოციალ-დემოკრატიული სიმაგრეც აუღიათ კონფედარაციის მომხრეებს (სინდიკალისტებს). ამით აიხსნეს უნდა ის, რომ გაფიცვა ლაზლანდარობით არ გათავდა და რომ მან მკაცრი კლასობრივი ბრძოლის ხასიათი მიიღო. კლემანსო (რადიკალ-სოციალისტია) დაჰპირდა მუშებს, თუ ჭკუით იქნებით, ჯარს არ მივმართავთ თქვენს დასაწყნარებლადო, მაგრამ კლემანსოს ჭკუაზე გავლა მუშებისთვის შეუძლებელი გახდა. პატრონები არ სთანხმდებიან მუშათა მოთხოვნილებათ დაკმაყოფილებაზე, მუშები თავის მხრით გრძნობენ, რომ მათ ეყოთ ამდენი ხნის ცდა და სიტყვით, ფრაზით არა კმაყოფილდებიან. მათი უმთავრესი მოთხოვნილება ქირის მომატება და მუშათა მდგომარეობის ჰიგიენურად უზრუნველყოფაა. პატრონები გაჯიუტდნენ, ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მაგიერ, თავიანთი პირობები წამოაყენეს წინ, რომელნიც მუშათაგან მიღებული ვერ იქნენ. მუშებმა უკანასკნელ სახსარს მიმართეს: შეეცადნენ გაფიცვის გაერთიანებას. ორი ორგანიზაცია, რომელიც წინად

ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ, შეერთდენ და საერთო გაფიცვის გამოცხადება გადასწყვიტეს და 16 (29) მარტს მთამადნის მუშების კონგრესის სხდომაზე წაკითხულ იქმნა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ყოველი მუშის მოვალეობაა მიემხროს საერთო გაფიცვას, რომელიც გადაწყვეტილ იქმნა უმრავლესობისაგანო. საჭიროა, რომ ბოლომდი ვიბრძოლოთ ჩვენ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაო. აქ ღირსშესანიშნავი ის არის, რომ ეს მოწოდება იქმნა წაკითხული სწორედ იმ ბაჲისაგან, რომელიც აგერ 20 წელიწადია ებრძვის საერთო გაფიცვის იდეის გავრცელებასა და განხორციელებას.

გაფიცვა ამ ერთ ერთ რაიონის მუშებისათვის საერთო გახდა და, როგორც დეპეშებიდან ვტყობილობთ, ბრძოლას მკაცრი ხასიათიც მიუღია. არნაში აუფეთქებიათ ერთი მეპატრონის სახლი, მოკლული არავინ არ არის, ზარალი მხოლოდ მატერიალურია. იქვე და კიდევ ფოკიერში მუშებს ბარიკადებიც აუგიათ, რომელიც შემდეგ არტილერიას დაუნგრევია. ჯარსა და მუშებს შორის შეტაკება უკვე რამდენჯერმე მომხდარა. ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის გათავებული მოსალოდნელია საერთო გაფიცვის რაიონიდან სხვა ადგილებშიაც გადასვლა.

—

## ამერიკის შეერთებული შტატები

**ინდიანოპოლის** ქვა-ნახშირზე მომუშავეთა ორგანიზაციამ მეპატრონეთ წარუდგინა მუშის ქირის მომატების მოთხოვნილება. მეპატრონეთაგან ეს მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული, და ამ ჯურის მუშათა ორგანიზაციების კომიტეტმა მიმართა მუშებს, რათა მათ შეეჩერებინათ წარმოება; გაფიცვაში, რომელიც იქნა გამოცხადებული ნახევარი მილიონი მუშა იღებს მონაწილეობას. ფიქრობენ, რომ ამ რიცხვიდან 100.000 მუშა მალე დაიწყებს მუშაობას, რადგან ზოგიერთი მეპატრონეთაგანი მზადაა დააკმაყოფილოს ცოტად თუ ბევრად მუშათა მოთხოვნილებანი. მეპატრონეებმა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს მიმართეს თხოვნით, რათა იგი ჩაერიოს კონფლიქტში და მომრიგებელ-მსაჯულობა იკისროს. ზოგიერთ ადგილებზე მუშებმა არა თუ გაფიცვა გამოაცხადეს, არამედ სამუშაო იარაღებიც წაიღეს თან, რომ, ვინ იცის, თუ მეპატრონე სხვაგნიდან გამოიწერს მუშებს, მუშაობის დაწყება მაინც არ შეიძლებოდეს.

—

## გერმანია

**ჰამბურგის** მეზღვაურთა კავშირმა, რომელსაც 2.000 წევრი ჰყავს, გაფიცვა დაიწყო.

—

ამ დღეებში დიუსელდორფში, ერთ მუშას, რომელიც რუსეთში 9 იანვარს მომხდარ ამბების შესახებ დაწერილ პამფლეტებსა ჰყიდდა ქუჩაში, 8 თვით ციხეში ჩამწყვდევა გადაუწყვიტეს.

—

როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიის საზღვრიდან 7000 რუსეთის ქვეშევრდომი გამოუდევნიათ. მთავრობა უარს ჰყოფს ამ ფაქტს: მართალია რუსეთის ზოგი ქვეშევრდომი გავაძევეთ გერმანიის ტერიტორიიდან, მაგრამ 7000 არ ყოფილა, ნაკლები იყოო. მიუხედავად ამისა გაზეთები მაინც ამტკიცებენ, რომ სწორედ 7000 კაცი იქნა გაძევებულიო. გაძევებულთა შორის უმეტესი ღარიბ ებრაელთაგან შესდგება.

---

## ქიზიყი და განმათავისუფლებელი მოძრაობა

(კორესპონდენცია)

**ქიზიყი.** წინა წერილში ჩვენ აღვნუსხეთ მოკლედ ის მთავარი ზომები, რომელნიც მიღებული იყო მთავრობის მიერ ქიზიყის წინააღმდეგ, მისს დასაბეჩავებლად და გასათახსირებლად. რასაკვირველია, ამ მთავარ ზომებს თან ახლდა კიდევ სხვა და სხვა აუარებელი „პატარა" ზომები, რომელნიც მიმართულნი იყვნენ აგრეთვე ხალხის შესავიწროებლად, ხალხის უბრალო თვით-მოქმედების სრულიად მოსასპობად.

ახლა ჩვენ გვსურს აღვნუსხოთ თუ რაგვარი კულტურა შემოიტანა მართველობამ, ვითომდა ხალხის სასიკეთოდ, ან როგორი კანონ-სამართალი დაამყარა და რამდენად შეეფერებოდა ხალხის სურვილს და მისს ზნე-ჩვეულებას.

უპირველეს ყოვლისა მთავრობის ძალას, მისს ერთგულ მონა-მორჩილს შეადგენს სამაზრო და სოფლის პოლიცია. ყველამ კარგათ იცის, რა ვაგლახი და სულის შემხუთავია ეს კანონ-გარეშე დაყენებული თვითნება პოლიცია. ისიც ვიცით, რა გაიძვერა, სულით ხორცამდე გარყვნილი, მახინჯი ზნეობით და გაყიდული პირები შედიან ამ სამსახურში ჯერ ახლაც და რანი იქნებოდნენ წინათ, ამაზედ ლაპარაკიც მეტია. ერთი სიტყვით, ქიზიყში დამყარდა ოკუპაციური მართვა-გამგეობა; რა გვარია ეს მართვა-გამგეობა და რა ან იყო [illegible], ეს ყველამ კარგათ იცის და ამისათვის აქ ამაზედ ლაპარაკს თავს ვანებებ, მით უმეტეს, რომ წინა წერილშიაც მოვიხსენე მისი მოქმედება და შედეგები.

გადავიდეთ ახლა სასამართლოებზედ, რომელთა დანიშნულება კონონიერების დამყარებაა ჭეშმარიტ საფუძველზედ, დაჩაგრულთა ქომაგობა და მავნე პირთა ალაგმვა. სამწუხაროდ, ახალი მთავრობის ახალი კანონები და სასამართლო სრულიად შეუფერებელი, ხალხის ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგი იყო და კანონიერების მაგიერ გაამეფა უკანონობა და უსამართლობა. ჯერ ერთი, რომ სასამართლო სწარმოებდა და სწარმოებს დღესაც ხალხისთვის გაუგებარს ენაზედ. ცამდის მართალი რომ ყოფილიყავით და კანონიც რომ შენი მომხრე ყოფილიყო, მოსამართლე, რომელსაც შენი არც ენა ესმოდა, არც ზნე-ჩვეულებაზედ და შენს ცხოვრება-ვითარებაზედ ჰქონდა რამე წარმოდგენა, დამნაშავედ შენვე გცნობდა და სასჯელსაც შენვე გიწესებდა, თუ მოწინააღმდეგეს სასამართლოს ენა ესმოდა, ან და შენზედ შეძლებული იყო, რომ ადვოკატი დაეჭირა და ქრთამებით მოესყიდა სამართალი.

რაკი ხალხი დარწმუნდა, რომ ამისთანა სასამართლოებში სამართალს ვერ ეღირსებო და რომ გამარჯვება ქრთამებით ხდებოდა, ამისთანა სასამართლოს დაეკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა ხალხის თვალში და შეიტანა ხალხში ზნეობითი გათახსირება. ხალხი მიხვდა, რომ სამართალი ფულზედ იყიდებოდა და თუ ფული ჰქონდა, უკანასკნელ გროშებს ხარჯავდა, რომ თავი გაენთავისუფლებინა; ვისაც ფული არ ებადა, ის ხშირად უდანაშაულოდ იდევნებოდა ან და გაურბოდა სასამართლოს, როგორც ჭირს. ამ გვარად სასამართლო შეიქმნა კლიაუზნიკების, მატყუარა ადვოკატების და ცრუ მოწმეების ბინად, ხალხის ზნეობის დამამახინჯებლად და ქონებრივ გასაღატაკებლად; არა ერთი და ორი ოჯახი დაღუპულა და გადაყოლია თან სასამართლოში თრევას.

ამ რიგად ურიგო სასამართლოებმა გახრწნეს ზნეობრივი სიფაქიზე ხალხისა, შეაჩვიეს ტყუილ ფიცს, მექრთამეობას, დაბეზღებას და ლოთობას, და აი, დღემდის მომდინარეობს და თან ვითარდება ეს ზნეობრივი სიმახინჯე და დღეს ქიზიყში ერთი მესამედი გლეხობისა მაინც გაიხრწნა სულიან-ხორციანათ, რომელთათვის სინიდისი, პატიოსნება, სიმართლე აღარ არსე-

ბობს და მზათ არიან ორ გროშად გაუიდონ და დალუპონ მეზობელი, რომელიც ჯერაც ვერ შერიგებია ამგვარ პირობებს, რომელზედაც არსებულს წეს-წყობილებას თავის გავლენა ვერ მოუხდენია და რომელშიაც ჯერაც ვერ ჩაუქრია წმიდა და ადამიანური გრძნობები. ეს უკანასკნელი, დიდი ნაწილი გლეხობისა, არის ის ნაწილი, რომელზედაც არის დამყარებული მთელი ჩვენი იმედი მომავალზედ...

ხალხის განათლებისთვის, სწვალა-ცოდნის გავრცელებისთვის მთავრობას არაფერი უზრუნია, არც-კი გახსენებია თუ საჭირო იყო. წინათ საქართველოში მრავალი სკოლები არსებობდა ეკლესიებთან, სადაც ხალხი სწავლობდა წერა-კითხვას; სწავლობდნენ შინაურადაც (დღემდის დარჩენილა ქიზიყ.. ამგვარი, შინაური სწავლება წერა-კითხვისა და სხვ.). ასე რომ მთავრობას ხალხის განათლებაში არავითარი დვაწლი არ მიუძღვის; მიუხედავად იმისა, რომ ქიზიყი დიდი ხანია იხდის ესრედ წოდებულ „სკოლის ფულებს“, ხალხს მაინც სკოლა არა ჰქონდა: ამ ფულებით ქალაქებში ბურჟუა-ჩინოვნიკების შვილები სწავლობდნენ და ქიზიყელებს კი უბრალო ერთ კლასიანი სკოლაც არ ებადათ. ამ უკანასკნელ ხუთმეტი წლის განმავლობაში დაიწყეს აქეთ ერთ კლასიანი სკოლების გახსნა, რომელთა დანიშნულება ხალხში სწავლა-ცოდნის გავრცელება კი არ იყო, ხალხისავე საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. თუ რას წარმოადგენს დღევანდელი სკოლები და რამდენათ ემსახურება ხალხის განათლებას, ყველამ კარგათ იცის. ხალხიც არ ეტანება მაგრე რიგათ ამისთანა სკოლებს და უფრო ხშირად მწყემსობაში ან და სახლშივე სწავლობენ ქართულს წერა-კითხვას.

მრავალ სხვა სიკეთესთან, მმართველობამ ერთი კიდევ დიდ-მნიშვნელოვანი სიკეთეც მოუტანა ქიზიყელებს. მე მოგახსენებთ ესრედ წოდებულს მაღაზიის ანუ სულის პურს (სამეურნეო თანხა). დანიშნულება ამისი ის არის, რომ თუ ვინიცობაა ხალხი დაიმშა მოუსავლობისა გამო, ამ შენახულ პურით და ქერით ისარგებლოს, თავიც გამოიკვებოს და თესლადაც მოიხმაროს. თუმცა ქიზიყი ბევრჯერ დაიმშა და ძალიანაც დაიმშა ზედი-ზედ მოუსავლობისა გამო, მაგრამ ამ შენახულ პურით თუ ქერით თითქმის არ უსარგებლნია. რაც პური ან ქერი იკრიფებოდა, მომეტებულ ნაწილს სოფლის გაიძვერა მოხელეები სჭამდნენ და მცირე ნაწილი კი იყიდებოდა და ფული ხაზინაში შედიოდა შესანახად. იმ დროს, როცა ქიზიყს შიმშილით სული ხდებოდა, ხალხის საკუთრება პური და ქერი ხალხს კი არ მისცეს დანიშნულებისამებრ, სიღნაღელ ჩარჩ-ვაჭარს მიჰყიდეს თითქმის მუქთად და მერე ამ ჩარჩ-ვაჭარმა ერთი ხუთად დამშეულ ხალხსვე მიყიდა ფუთობით. მაგ. 1892 წელს. ასე იყო იმ დრომდე, ვინემ ტფილისის გუბერნატორად დაინიშნებოდა ბ. შერვაშიძე, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ საქმეს და თუ წინათ ამ საქმეს ანგარიშს არავინ უშვრებოდა, ამის შემდეგ პურიც და ქერიც სულ იყიდებოდა და ფულები ხაზინაში შედიოდა შესანახავად, თუმცა სოფლის გაიძვერა მოხელეები მაინც სარგებლობდნენ კიდევ.

დღეს ქიზიყს რამდენიმე ასი ათასი მანეთი აქვს ამ მაღაზიების პურის და ქერის ფულები, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ რაც გინდა უჭირდეს ქიზიყს, მაინც ვერ სარგებლობს, რადგან ხვეწნა მუდარით რომ მიმართონ, ადმინისტრაცია ერთ გროშსაც არ იძლევა. ასე რომ სხვა აუარებელ გადასახადებთან ერთად, ესეც მხოლოდ უსარგებლო ზედმეტი გადასახადია ხალხისა და სხვა არაფერი. გარდა ამისა შეტანილ ფულით არა მკითხე ჩინოვნიკებს უყიდნიათ ხალხის დაუკითხავად სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, რომლის კურსი ეხლა ძალიან დაეცა და რომ დაახურდავონ ნაღდ ფულზედ, კარგა ბლომა ფულები ეკარგება ქიზიყს, თუმცა, კაცმა რომ სთქვას, სულ დაკარგული არ არის! თუ ყველა ზემო ნათქვამს ზედ დაურთავთ ქალაქ სიღნაღის ვაჭარ-ჩარჩების ენით გამოუთქმელ ძარცვა-გლეჯას, მუქთად ხალხის ნაშრომის ხელში ჩაგდებას, როდესაც სხვა და სხვა აუარებელ გარდასახადების აკრების დროს უჭირს ხალხს და იძულებულია სადაც იყოს და არ იყოს მოთხაროს და მიართვას გადასახადი, წონა-ზომაში მოტყუებას, დამპალ საქონლის ერთი სამად გასაღებას ხალხზედ, აბუჩად და მასხარად აგდებას გლეხებისას, შეურაცხყოფას სოფლის ქალ-რძალისას, რომელნიც მზამზარეულად ყოველგვარ სანოვაგეს უზიდავენ სიღნაღელებს გაჭირვების გამო და თვითონ კი დანატრულებულნი არიან ყველაფერს; აი ყველა ამ აუტანელ ცხოვრების პირობებს ის შედეგი მოჰყვა, რომ ქიზიყელებს გული გაუტყდათ, წელში მოიხარნენ, დაფრთხენ-შეშინდნენ, უწინდებური სიჯიუტე, თავმოყვარეობა და თავისუფალი სული მიილულა, ყოველგვარ თვითმოქმედების სურვილი გაჰქრა, დაიხშო და საშინელი აპატია გამეფდა ამათ და ყოველგვარ მოქმედებაში, ერთი სიტყვით, ქიზიყი ცნობიერად კი არა სცხოვრობს, არამედ გარდაიქცა უსულო მანქანად, რომელიც ამუშავდება მაშინ, თუ პოლიციის მათრახი მძვინვა[illegible]ბების შესასრულებლად და გ[illegible], როდესაც შეასრულებენ ყოველგვარ მოთხოვნილებებს. თუ ხალხი გაჭირვებულია სოფლის გზების უქონლობით და სხვა ამგვარ უბედურებით, გული და ღონე აღარ ერჩის, რომ თავის თავზედაც იფიქროს, ან თავის მომავალზედ და თავის დღენი უნდა დალიოს მონა-მორჩილებაში.

განწირული

---

## რუსეთის ცხოვრებიდან.

**ადესსა**. განთქმულ **ნეიდგარდს**, ეხლახან სენატისგან გამართლებულს, **წინადადებას აძლევენ, გენერალ-გუბერნატორობა მიიღოს ან ნოვგოროდისა, ან პოლონეთისა;** ნიჟეგოროდის თავად-აზნაურობა კი აპირებს მისს **სახელმწიფო სათათბიროში** არჩევას.

— **პეტერბურგი.** სოციალ-დემოკრატები ხალხს ურჩევენ, რომ **„კადეტებს“ მისცენ კენჭი.**

— **პეტერბურგი.** უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ **დაამტკიცა** განაჩენი, რომლითაც 26 ჯარის-კაცს შემდეგი სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი: **13 კაცს დახვრეტა და 13-ს კატორგა** (პ. ა.).

— **რიგა.** სამხედრო სასამართლოს განაჩენით **ჩამოახრჩეს მუკელსიუ და კრაუზე** (პ. ა.).

— **ვარშავა.** გემზე **დახვრიტეს ხუთი ყომარბაზი** (პ. ა.).

— **ტომსკი**. მოჰკლეს არტელის **წევრი; წაიღეს** 79000 მანეთი. ერთი მკვლელი დააპატიმრეს, ფული ვერ იპოვეს (პ. ა,).

— **ადესსა.** სამხედრო სასამართლომ **სიკვდილით დასჯა** გადაუწყვიტა გურშტეინს (პ. ა ).

— **ხერსონი.** სამხედრო სასამართლომ **დახვრეტა** გადაუწყვიტა დისციპლინარნი ბატალიონის ჯარის-კაცს ჟუკოვს, რომელსაც ბატალიონის კომანდირის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა (პ. ა.).

— **მინსკი.** პროკურორმა სამსახურს თავი დაანება; მიზეზი **კურლოვის** სენატის მიერ **გამართლებაა** (სტრანა).

— **ხარკოვი.** რეალურ სასწავლებლიდან **გამორიცხეს** 134 შეგირდი. (სლოვო).

— **კიევი**. საერო განათლების მინისტრის ამხანაგი იზვოლსკი აცხადებს, რომ აუარებელ სოფლის მასწავლებლე-

ბის დაჭერა **დურნოვოსბრძანებით სრულდება**; სამინისტრო სიამოვნებით მიიღებს იმათ უკანვე სამსახურში. (სლ.).

— **ხაპარანდა.** ობერგს რატგაუზის სასამართლომ **სიკვდილით** დასჯა გადაუწყვიტა (მოლვა).

— **პეტერბურგი.** შეერთებული კომიტეტი რ. ს. დ. პ. აცხადებს, რომ **ხმები** მომავალ საზოგადო პოლიტიკურ **გაფიცვაზე** სიმართლეს მოკლებულია; არც ერთ ორგანიზაციას ხსენებულ პარტიისას ფიქრადაც არ მოსვლია ახლო მომავალში პოლიტიკურ საერთო გაფიცვის გამოცხადება; ამასვე აცხადებს მოსკოვის საბჭო მუშათა დეპუტატებისა (მოლვა).

— **ვლადივასტოკი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე 23 ჯარისკაცისა; ამათგან ორს **სიკვდილით დასჯა** გადაუწყვიტეს და დანარჩენს კატორგა (რ. ა.).

— **პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ცირკულიარი დაუგზავნა გუბერნატორებს ბძანებით, რომ დახმარება აღმოუჩინონ **მხოლოდ იმ დამშეულ გლეხებს,** რომელთაც აგრარულ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამაზე ზოგიერთი გუბერნატორი ატყობინებს დურნოვოს, რომ თითქმის ყველა სოფლებში გლეხები გამოუკლებლად იღებდენ არეულობაში მონაწილეობასაო (რ. სლ.).

— **ხარბინი.** გაზეთ „ხარბინ. ლის.“ ყოფილი რედაქტორი რაგენსკი **სამხედრო** სამართალში მისცეს მისი უდიდებულესობის შეურაცხებისთვის და ჯარში მთავრობის საწინაალმდეგო პროპაგანდისთვის (პ. ა.).

— **ზაბაიკალის** სამხედრო გენერალ-გუბერნატორი ხოლშჩევნიკოვი, რომელსაც ერთ დროს „რევოლიუციონერობა“ ჰბრალდებოდა, რისთვისაც ის გადაყენებულ, დაჭერილ და სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა, აცხადებს: გენერალ-ლეიტენანტი რენენკამფი დეპეშით მატყობინებს, რომ რევოლიუციონერები, შეკრებილ ცნობებით, აპირობენ მისს (რენენკამფის) მატარებლის აფეთქებას, და მთხოვს გამოვუცხადო მცხოვრებლებს, რომ ხსენებულ შემთხვევაში **ყველა დატყვევებულნი, განურჩევლად, დახვრეტილნი იქმნებიან.** აგრეთვე მოექცევიან **ყველას, ზაბაიკალში დაჭერილებს** (რუს.).

— **რიგა.** უსტ-დვინის ციხეში **ჩამოახრჩვეს** სპეკი, რომელსაც ჰბრალდებოდა პოლიციელის მოკვლის განზრახვა ლიბავაში (ს. პ. ა.).

— **მიტავა.** გენერალ-გუბერნატორმა დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ბისენკოს **ჩამოხრჩობა** ჰქონდა გადაწყვეტილი. ბისენკოს ჰბრალდებოდა რევოლვერის სროლა დრაგუნებში. გად წყვეტილება **სისრულეში** იქმნა მოყვანილი (რ. ა.).

— **რიგა.** სამხედრო სასამართლომ **სიკვდილით** დასჯა გადაუწყვიტა მიხელსონს, რომელსაც ოკოლოდოჩნიკის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა. (ს. პ. ა.)

— **კრემენჩუგი.** გურევიჩის ბინაზე ყუმბარების საკეთებელი, ერთი კალათი **გაკეთებული ყუმბარები** და არა ლეგალური ლიტერატურა აღმოაჩინეს. დაიჭირეს სამი (პ. ა.).

— **ვარშავა.** თეოფილე კონჟარევსკი, რომელსაც ვოლკინსკის პოლკის ჯარის-კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდებოდა, სასამართლოს გადაწყვეტილებით **ჩამოახრჩვეს** (პ. ა.).

— **მირგოროდი.** მაზრის ერობის სამმართველოს თავმჯდომარე და ყველა წევრები **სამართალში მისცეს** (პ. ა.).

— **ქერჩი.** სამსახურიდან გამოსული ჟანდარმთა გენერალი ტრუბნიკოვი, რომელსაც ებრაელთა დარბევის მოწყობას აბრალებდნენ, **გაანთავისუფლეს** და საქმე მოსპეს (პ. ა.).

**ადესა.** ნავთსადგურის მუშები ეს რამდენიმე ხანია **გაფიცულნი** არიან (პ. ა.).

— **ტვერი.** 25 მარტს ყუმბარით **მოჰკლეს ტვერის გუბერნატორი სლეპცოვი;** მკვლელობა მოხდა სობოროს მახლობლად. ყუმბარა გუბერნატორს ფეხებში ესროლეს; ეტლში მხოლოდ ფეხები და სხეულის ქვედა ნაწილი დარჩა, თავი კი რამდენსამე საჟენზე ნახეს გადაგდებული მკვლელობის ადგილას იქვით დაიჭირეს 18 წლის ყმაწვილი, ბუგაჩოვი (პ. ა.).

— **ლოძი.** ღამით კუპცინის კასტიოლი გასტეხეს და **ფულები წაიღეს,** რამდენი, არ იციან. არავინ დაუჭერიათ (პ. ა.).

— **კიევი.** საიდუმლო პოლიციის აგენტმა დაიჭირა ორი უცნობი კაცი; ერთმა მძიმედ **დასჭრა** პოლიციის აგენტი. პოლიციელებმა მსროლელი დაიჭირეს და მეორე კი გაიქცა.

— **ადესა.** სამხედრო სასამართლომ **ჩამოხრჩობა მიუსაჯა სტრაჟნიკს** მიხეილ იგნატიევს, **რომელსაც ბრალად ედებოდა** ქალის და სამი თვის ბავშვის **მოკვლა,** აგრეთვე მეორე ქალის დაჭრა, რომლებმაც 25 კ. არ მისცეს, რადგანაც არ ჰქონდათ. [illegible] იგნატიევმა ჩაიდინა დნეპროვსკის მაზრაში, სადაც ის იყო გაგზავნილი გლეხების არეულობის დროს.

— **ეკატერინოსლავი.** მილების ქარხნის მუშის ბინაზე **ორი ყუმბარა** და რამდენიმე რევოლვერი აღმოაჩინეს.

— **მოსკოვი.** ელექტრონის საზოგადოების ქარხნის 400 **მუშა გაიფიცა.** ქარხნის ადმინისტრაციამ მუშები დააჯარიმა, რადგანაც ბზობის წინდღით თავისი ნებით მუშაობას თავი დაანებეს.

— **ადესა. ქალაქი უსაბჭოოთ დარჩა.** უკეთესი ხმოსნები ხმოსნობას თავს ანებებენ. ადმინისტრაციამ უბრძანა საბჭოს „არა კეთილ საიმედო“ წევრების და ქალაქის თავის ამხანაგის მაგიერ სხვანი აირჩიეთო. ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა პროტესტი გამოაცხადა, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „მაგნაირ თვალთმაქცობას, სჯობს ადმინისტრაციამ თითონ დანიშნოს საბჭოში თავის ჩინოვნიკებიო. რაღა კომედიას თამაშობთო?‘‘ ქალაქის თავმა ეს პროტესტი არ წააკითხვინა. მაშინ ხმ. პერგამენტი და სხვა 18 ხმოსანი დემონსტრატიულათ ზალიდან გავიდნენ.—,,რუს ხალხის კავშირის‘‘ წევრებმა გენ. ყარანგოზოვს ხატები მიართვეს და, სხვათა შორის, სთხოვეს, **გამოძიება მოახდინეთ ქალაქის საბჭოს წევრების შესახებ, რომელნიც რევოლიუციონერებს ხელს უწყობენ, რუსი ხალხი რევოლიუციის ხელში ჩააგდეს და გაფიცულებს შემწეობას აძლევდნენო.** გენ.-გუბერნატორმა უპასუხა, მე ყველაფერი შეტყობილი მაქვს და დამნაშავეებს კანონისამებრ დავსჯიო.

— **მოსკოვი.** გუჩკოვი, შიპოვი და პელგერ, არჩევნებზე სახელმწიფო სათათბიროში **გაშავებულ** იქმნენ.

ლოზანაში **დაჭერილ** იქმნა ერთი იმ პირთაგანი, რომელთაც მოსკოვის საურთიერთო ნდობის საზოგადოებიდან ფულები გაიტაცეს; უპოვეს ჩემოდანში 35,000 მანეთი.

— **პეტერბურგი.** სპირიდონოვის ქალს სიკვდილით დასჯა **კატორგაზე შეუცვალეს.**

სახელმწიფო ბანკი უპროცენტოდ სესხულობს ორას მილიონ მანეთს **ეკლესიის ფულს.**

— **პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტრო შეეკითხა უწმინდეს სინოდს, აპირობს თუ არა ეს უკანასკნელი ზომების მიღებას იმ სამღვდელო

პირების წინააღმდეგ, რომელთაც პანაშვიდი გადაიხადეს შმიდტის სულის მოსახსენებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ესენი ადმინისტრატიულ წესით დაისჯებიანო. (ნ. ვრ.).

---

## ადგილობრივი ქრონიკა

✦ **სახელმწიფო სათათბირო.** კავკასიაში საარჩევნო სიების შედგენა კუს ნაბიჯით მიდის. ტფილისში საარჩევნო სიების შედგენა დასრულდება დაახლოვებით რვა აპრილს. ასე რომ ამომრჩეველთა არჩევნები მხოლოდ აპრილის უკანასკნელ რიცხვებში დაიწყება, რადგან სიის შედგენის შემდეგ ორი კვირა სიების შესამოწმებლად არის საჭირო და ორი კვირა არჩევნების მოსახდენად. ამგვარად კავკასიის წარმომადგენელნი სახელმწიფო სათათბიროში **15 მაისზე ადრე ვერ იქნებიან.**

✦ 28 მარტს გამოვიდა ქალაქში ახალი ყოველდღიური გაზეთი „ვოლია“ რუსულ ენაზე გრ. დიასამიძის რედაქტორობით.

✦ **დაიხურა** 24 მარტს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით „ვესტნიკ ვოზროჟდენიე“ გაზეთ „ცნობის ფურცლიდან“ დასავლეთ საქართველოს აოხრების და აწიოკების უტყუარ ფაქტების **გადმობეჭდვისთვის.**

✦ 4-სა და 5-სა აპრილს გაზეთ „კავკასკაია მისლ“-ის რედაქციაში კრებაზე განხილული იქნება საგანი კავკასიის ავტონომიისა.

✦ **ოზურგეთში** ადგილობრივი მართველობა გაზეთის დამტარებლებს ართმევს ტფილისის გაზეთების ნომრებს და შემდეგ ხევს. როგორც ვიცით, **ამგვარი მხეცური ბრძანება ჯერ არავის გაუცია** (ელვა).

✦ **სუხუმში** დაჭერილ ქართველ ლიტერატორ თედო სახოკიას ბრალს სდებენ 2 ნაწ. 102 ტ. სის. სამ. დებ. და 416, 419, 421, 430 და 431.

✦ **ყვირილა. აფრასიონ მერკვილაძე** მართლა მოჰკლეს 16 მარტს ჯაშუშების ჩვენებით.

**შორაპანი.** მოჰკლეს ერთი მოწინავე მუშათაგანი თედო კოხრეიძე, რომელიც ჯაშუშების ჩვენებით დაიჭირეს; ჯერ საშინლად თურმე სცემეს და მერე **ყელი გამოსჭრეს და მდინარე ყვირილაში გადააგდეს.** გვამი ყვირილის ხიდთან გამორიყა, სადაც სამი დღე ეგდო და ბოლოს პოლიციელებს დაუმარხავთ.

✦ 21 მარტს გომში დასცემიან გოკიელოვის მაღაზიას, 22 მარტს კი გორის მემამულეების **სადგილ-მამულო სინდიკატს** და **გაუტაცნიათ ფულათ 1,500 მ. და 300 მ. საქონელი.**

✦ როგორც ქუთაისში ხმა დადის, ის როტები, რომლებსაც იარაღი აჰყარეს ყვირილასა და ბელოგორში, უკვე დაუნაწილებიათ: აფიცრები და ზოგიერთი სალდათები მიუციათ **სამხედრო სამართალში.** (ელვა).

✦ ბათუმიდან აუწყებენ „მშაკს“: ხუთი შეიარაღებული ყაჩაღი თავს დაეცა ართვინში მიმავალ ეტლებს, გაძარცვეს მგზავრები და წაიღეს **ორი ათასი მინეთიო**

✦ **სოსიპატრე** (ჰიჰიკო) **ასათიანი,** რომელსაც პოლიტიკური დანაშაულობა ჰბრალდებოდა, სპარსეთის საზღვარზე, ახხაბადს იქით, **მოუკლავთ.** საწყალს დარჩა სრულიად უშემწეოთ წვრილი ცოლ-შვილი და მოხუცი მშობლები. (ელვა).

✦ 28 მარტს ღამის 1 საათზე მიხეილის საავათმყოფოში მოიტანეს **მოკლული კაზაკთა აფიცერი** ალექსი მაზიუკინი. ამბობენ, თითქოს მაზიუკინს თვითონვე მოეკლას თავი. ნამდვილი ამბავი ჯერ არ იციან. (ელვა).

✦ ამ კვირას სოფ. არაშენდაში **მოჰკლეს კარგათ ცნობილი კაცი,** კოტე ბერიძე; ეს ჩაიდინეს იქ დაბანაკებულმა შავმა რაზმელებმა, აბდუშელიშვილის კამპანიამ. მკვლელს ასახელებენ ყოფილ გიმნაზიელს უხოვს. საკვირველია, ყველას აჰყარეს იარაღი და ამ ვაჟბატონებს კი არა. იმავე კვირას გაძარცვეს ახალ-ქალაქში იაგორ მეზვრიშვილი და წაართვეს, როგორც ამბობენ, სამოცი თუმანი. (ელვა).

✦ **ს. ატოცი.** ამ ერთი კვირის წინათ აქ შემდეგი უბედურება მოხდა. აფიცერი კაზაკებით მისულა სოფელში და მილიციონერები მოუთხოვნია. ხალხს განუცხადებია, ჩვენს სოფელში მილიციონერებათ არავინ არა ყოფილაო. მაშინ აფიცერს უბრძანებია კაზაზებისთვის, რომლებიც დარევიან სოფელს და მთელი ღამე თავისუფლათ უთარეშნიათ. ერთ სახლის პატრონს კარები შიგნიდან ჩაეკეტა—მით სდომებოდა უბედურების თავიდან აცდენა. კაზაკებს კარები შეემტვრიათ. სახლში ერთი ახალგაზდა კაცი დახვედროდათ. ჯერ ეცემათ, მერე ხელ-ფეხი შეეკრათ და ისე დაეგდოთ. მერე სახლის ჩხრეკას შესდგომოდნენ. გაჩხრეკის დროს ტახტის ქვეშიდან **გასათხოვარი გულწასული ქალი გამოეთრიათ, რომელიც ხელ-ფეხ შეკრულ ძმის თვალ-წინ თურმე გააუპატიურეს.** (ელვა).

✦ **ჭოკნარი.** (ქუთაისის მაზრა) ჯაშუშებმა კაზაკთა აფიცერს ლარიონოვს აცნობეს, ჰიშურაზე რაზმი არის თავმოყრილიო. ლარიონოვიც გაემგზავრა ასი ყაზახით: ნახა იქ 11 **მგზავრი დუქანში დაბინავებული,** რომლებსაც არავითარი იარაღი არა ჰქონდათ, მაგრამ მაინც წამოიყვანეს. წყალწითელაზე **ხუთი კაცი ყელებდაჭრილი ნახეს:** ექვსი გაქცეოდათ. **ერთს მოკლულთაგანს** მედუქნეს, დიმიტრი ნემსაძეს **რვა შვილი დარჩა** და მოხუცი დედ-მამა. ძნელი ასაწერია, რა **შეუბრალებლათ იყვნენ აჩეხილი.** საწყლები, როცა ვნახე, ერთი იასონ ხოხიაშვილი ისევ ცოცხალი იყო და ყვიროდა: **სისხლი აიღეთ ამხანაგებოო!** რას გვერჩოდნენ უიარაღო ხალხს, რომ ასე შეუბრალებლათ მოგვისპეს სიცოცხლეო; ამ უკანასკნელმაც მალე განუტევა სული.

✦ **ტფილისის გენერალ-გუბერნატორმა** შემდეგი განკარგულება მოახდინა: რადგან გაზ. **„ცნობის ფურცლის“ რედაქტორმა** გვერდი აუქცია ჩემ მოთხოვნას დაემტკიცებია იმ შენიშვნის სიმართლე, რომელიც „ნოვოე ობოზრენიემ“ მისი გაზეთიდან გადაბეჭდა და ამის მაგივრათ მან გაზეთში მოიყვანა მთელი რიგი ისეთი ფაქტებისა, რომლებიც იმ შენიშვნაში მოხსენებული არ იყო; რადგან ამ წესით პასუხის მოცემა მან მხოლოდ იმისთვის მოიგონა, რომ ერთხელ კიდევ დაებეჭდა ხალხის ამაღელვებელი და ჯარის შეურაცხმყოფელი ამბები, ე. ი. ჩაიდინა ისეთი საქციელი, რომლისთვისაც უკვე გაფრთხილება მიიღო,—მე, ტფილისის გენ. გუბერნატორმა, 26 მარტს დავადგინე **დახურულ იქნეს გაზ. „ცნობის ფურცელი“,** სანამ ტფილისში და ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში სამხედრო წესები მოქმედებს, და **აეკრძალოს გაზეთის რედაქტორს** ალექსანდრე გიორგისძე **ჯაბადარს** ხსენებულ ადგილებში ცხოვრება. წასვლის ვადათ სამ დღეს ვუნიშნავ. ამასთან ვაფრთხილებ, რომ თუ ის დანიშნულ ვადაზე არ წავა, **გაგზავნილ იქნება** იმპერიის **შიდა გუბერნიებშიო.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“. ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.